ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 9 ნოემბერი 1993 № 23 (70) ფასი 750 კუპონი

2 „დინამო“ პირველად დამარცხდა ეროვნულ საფეხბურთო ჩემპიონატში

7 რვათვიანი მარათონის ფინიში

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ჩემპიონთა გამოსათხოვარი ადელაიდაში





## პირველი გამარჯვება და ისევ წაგება

სე ცზიუნმა და ნანა იოსელიანმა მონტე-კარლოში კიდევ ორი პარტია გაითამაშეს. მეექვსე პარტიაში იოსელიანმა კარგად გამოიყენა მეტოქის შეცდომები და პირველად გაიმარჯვა.

მეექვსე პარტია
სე ცზიუნი —იოსელიანი
სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მ f3 d6 3. d4 cd 4. მ: d4 [illegible] f6 5. [illegible] c3 მ c6 6. კ e2 e5 7. მ f3 h6 8. 0-0 [illegible] 9. ე e[illegible] [illegible] 11. კ f1 ლ a5 12. კ d2 ლ d8 13. [illegible] 14. ed [illegible] d5 15. e4 ლ d6 16. [illegible] c3 მ d7 17. [illegible] d6 ლ: d6 1[illegible] f1 კ c7 19. b4 a6 2[illegible] მ b? [illegible] 21. a4 [illegible] 22. c5 მ e7 23. a5 მ d5 24. მ a4 [illegible] c3 25. მ: c3 მ b8 26. მ d5 [illegible] 27. [illegible] d5 მ c6 2[illegible] c4 მფ h7 29. [illegible] b1 f5 30. მფ f1 ე: d5 31. კ: d5 ე [illegible] 32. კ e6 g6 33. b5 მ: a5 34. c6 ab 35. cb e4 36. მ [illegible] b7 37. ე: b5 მ d6 38. ე c5 კ b8 39. ე d5 მფ g7 40. g[illegible] f4 41. g5 ე e8 42. კ d7 კ [illegible] 43. კ c6 f3 44. gh+ მფ: h6 [illegible]. ე d4 მფ g5 46. მ: f3 ef 47 კ: f3 მ f5. თეთრები დანებდნენ

მეშვიდე პარტიაში, რომელშიც ძველინდური დაცვა გათამაშდა, იოსელიანი დამარცხდა. ანგარიშია 5,5:1,5 სე ცზიუნის სასარგებლოდ. მერვე პარტია დღეს გაიმართება.

# ჩემპიონატი შეიძლება ჩაიშალოს!

კვირას, საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატის მე-18 თამაში „თბილისი“ — „დინამო“ პირველი ტ მის შუაში მსაჯის, გიორგი ავალიშვილის გადაწყვეტილებით შეწყდა. მიზეზი: ცნობილმა დინამოელმა კალათბურთელმა გელა დარსაძემ, სათადარიგოთა სკამიდან „დაუწუნა“ მსაჯს რიგითი გადაწყვეტილება, რისთვისაც ტექნიკური პერსონალური შენიშვნა მიიღო. დარსაძე ემოციებს აჰყვა. ავალიშვილმა ჯერ სიტყვით გააფრთხილა, შემდეგ კი გასახდელისკენ მიუთითა მოთამაშეს. მოთამაშე არ დაემორჩილა მსაჯის გადაწყვეტილებას, ავალიშვილმა რამდენიმე წუთი მოიცადა, თამაში დამთავრებულად გამოაცხადა და თავად გავიდა გასახდელში. ამის შემდეგ დინამოელთან ჩავიდა ადრეული თაობის სახელოვანი კალათბურთელი ოთარ ქორქია, რომლის ავტორიტეტმაც გაჭრა და დარსაძემ დარბაზი დატოვა. მიმავალ დარსაძეს მაყურებელთა დიდი ნაწილი ტაშით აცილებდა, არბიტრმა კი გადაწყვეტილება არ შეცვალა და მოედანზე აღარ დაბრუნებულა. ვნებათაღელვის დროს ტრიბუნებზეც რაღაც ჩოჩქოლი და გაწევ-გამოწევა ატყდა, ახლო-მახლო [illegible] სანთლით რომ გეძებნათ პოლიციელს ვერ ნახავდით. სამსაჯოში შეკრებილმა კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმა სახელდახელო გადაწყვეტილება მიიღეს, ორშაბათის თამაშები გადადეს და ოთხშაბათისთვის ფედერაციის სხდომა მოიწვიეს, სადაც ყველა სადაო საკითხი უნდა გადაწყდეს. საინტერესოა: თუკი პირველივე წრეში, როდესაც გუნდები პირველ ქულებს იწერენ და სატურნირო ცხრილში ადგილების განაწილებამდე ჯერ თვეებია დარჩენილი, ამგვარი რამ ხდება, რას უნდა ველოდოთ მაშინ, თითოეულ ტყორცნას საგანგებო ფასი რომ დაედება? იქნებ მართალი იყო სპორტკლუბ „ვითა“-ს პრეზიდენტი თემურ დათიკაშვილი, როდესაც ამბობდა (იხ. „სარბიელი“ №8) პროფესიული ლიგა წლეულს შემოვიღოთ, რათა ყველა დამრღვევს საქმე რეალურ და სოლიდურ ფულად ჯარიმასთან ჰქონდესო? როდის უნდა დადგეს საქართველოში ის დრო, როდესაც სადაო საკითხები, უცხოელთა მსგავსად, სადისციპლინო კომისიების სხდომებზე გადაწყდება, ხოლო შეკრებილ გულშემატკივარს პატივს სცემენ და იმას აჩვენებენ, რის სანახავადაც არის მისული? როგორ უნდა გაუძლონ თითზე ჩამოსათვლელმა მსაჯებმა (ოფიციალურად თორმეტი არბიტრი უნდა იყოს ჩემპიონატზე, მაგრამ, მსაჯთა ან კვალიფიცირებულ მსაჯთა დეფიციტი იმდენად აშკარაა, რომ ორჯერ უკვე თავად ფედერაციის ვიცე პრეზიდენტს როლანდ ხომერიკს მოუწია სჯა) ას-ასორმოცდაათ ლამაძს თუკი მსგავსი ინციდენტი ხშირად მოხდება? თუკი მოთამაშეები მსაჯობით უკმაყოფილონი არიან, განა არ სჯობია იმავე უცხოეთის მსგავსად თავიანთი აზრი, თუნდაც მკვახედ, პრესაში გამოთქვან?

აქვე გთავაზობთ გიორგი ავალიშვილისა და გელა დარსაძის ინტერვიუებს, რომლებიც შეწყვეტილი თამაშის წინა დღეს არის ჩამორთმეული.

და ბოლოს, საკალათბურთო ჩემპიონატს ჩაშლა ხომ არ ემუქრება?

ილია ბაბუნაშვილი



# ისევ ლას-ვეგასში:

## პოლიფილდი — ლუისი

მას შემდეგ, რაც ევანდერ ჰოლიფილდმა გალახა ბოუ (რის ამბავსაც მერვე გვერდზე იხილავთ), გაჩნდა იმისი შანსი, რომ მსოფლიოს ერთი ჩემპიონი ჰყავდეს. 31 წლის ჰოლიფილდს მუშტების ქნევით უკვე 90 მილიონი დოლარი მოუგროვებია და ახლა კრივთან წმინდა სპორტული ინტერესის მეტი თურმე არაფერი აკავშირებს. ამ კვირას ჰოლიფილდის წარმომადგენელი დან დუვერი მორიგებია სხვა მსოფლიოს ჩემპიონის — ლენოქს ლუისის იმპრესარიო ფრენკ მელოუნის, რომ ჰოლიფილდ-ლუისის შერკინება გაისად მარტში გაიმართოს ლას-ვეგასშივე, ოღონდაც ახალთახალ, გრანდიოზულ MGM ოტელში. როგორც იტყობინებიან, მატჩის საპრიზო ფონდი საარაკო იქნება.

# «უკბილო თამაში მღლის»

საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი გიორგი ავალიშვილი, ქართული კალათბურთის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფიგურაა. მას თითქმის ყოველდღე უწევს საქართველოს ჩემპიონატის მატჩების სჯა. ყურადღებას იქცევს მოედანზე მისი მკაფიო ჟესტიკულაცია. ავალიშვილი საორჭოფო სიტუაციებს არ ქმნის.

— ბატონო გიორგი, რატომ გიწევთ რამდენიმე არბიტრს ასე ხშირად სჯა?

— მართალია ჩვენში პროფესიონალი და მოყვარული არ არსებობს, მაგრამ თუ პირობითად ასე დავყოფთ, რაგინდ უხერხული შეიძლება ჩანდეს ჩემთვის ამის თქმა, პროფესიონალი სამნი ვართ: მურმან ქურიძე, როლანდ გელოვანი და მე. ჩვენ საბჭოთა კავშირის პირველობების სკოლა გვაქვს გავლილი. პირადად მე 1979 წელს მომანიჭეს საერთაშორისო კატეგორია, მანამდე კი ათი წლის მანძილზე ვსჯიდი საკავშირო ჩემპიონატების მატჩებს. დანარჩენებს ეს გამოცდილება აკლიათ. ვდგავართ კიდევ ერთი სერიოზული პრობლემის წინაშე. მე ოთხ წელიწადში ორმოცდაათი წელი შემისრულდება და წესის თანახმად მოედანზე ველარ გამოვალ. დაახლოებით ასევე რჩებათ დანარჩენებსაც. გამოდის, რომ ჩვენი თაობის წასვლის შემდეგ ქვეყანაში მსაჯი აღარ დარჩება, უმსაჯოდ კი კალათბურთი არ არსებობს.

— რატომ არ ჩანან ახალგაზრდა მსაჯები?

— ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. იმოქმედა, თავის დროზე, ჩვენში კალათბურთის დონის დაცემამ. განუკითხაობამ, რომელიც ქუჩაში სუფევს, მოედანზეც შემოაღწია. ბევრი უბრალოდ ერიდება უსიამოვნებას. თითქმის არ არსებობს ანაზღაურება.

— როგორი უნდა იყოს გასამრჯელო?

— ჩვენ დავსვით საკითხი, რომ მსაჯს მატჩში ათი დოლარი (ან მისი ექვივალენტური თანხა სხვა ფულით) გადაუხა-

(იხილეთ მეხუთე გვერდი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# «დინამოლოგი» ჯონი

**წინა პარასკევს ეროვნულ სტადიონზე სენსაცია მოხდა: აუტსაიდერმა „ერქვანმა", რომელიც მხოლოდ საექსპერტო კომისიის შეწყალების შემდეგ დააბრუნეს ჩემპიონატში, ლიდერი — თბილისის „დინამო" დაამარცხა 2:1.**

**ვინც თამაშს უყურა, დამეთანხმება, რომ გურჯაანელებმა ყველა საფეხბურთო კანონით მოუგეს თბილისელებს. გამარჯვების გოლი უკანასკნელ წუთებში მამამისის სტილში გაიტანა ჩვიდმეტი წლის ნიკუშა ყიფიანმა: კიკნაძესთან „კედელი" გაითამაშა და მარცხენა ფეხით პირდაპირ ცხრიანში გაუშვა ბურთი. გურჯაანელთა წარმატება მით უფრო გასაკვირია, რომ ყოველგვარ მხარდაჭერას მოკლებულებმა, ყბადაღებული ერთი ბურთით ნავარჯიშევებმა მოიგეს ეს მატჩი.**

დამაინტერესა, რამდენად შეეფერებოდა სიმართლეს „ერქვანის" „ერთბურთიანობის" ამბავი და გურჯაანელთა ვარჯიშზე მივედი. შორიდან მართლაც ისე მომეჩვენა, რომ ერთი ბურთით ვარჯიშობდა გუნდი, მაგრამ ახლოს რომ მივედი, დავინახე, რომ ის, რასაც ბურთს ეძახდნენ ერქვანელები, ოდესღაც ყოფილა ბურთი და ეს მრგვალი მასა ბავშვობაში რომ ეჩუქებინათ ჩემთვის, შეურაცხყოფილადაც კი ვიგრძნობდი თავს.

**— ბატონო ჯონი, ნუთუ მეტი ბურთი არა გაქვთ?**

— როგორ არა გვაქვს? — და ჯანელიძემ იქვე მინდორზე დაგდებული ბადისკენ მიმითითა, რომელშიც ძველი, დაჩუტული ბურთები ისე ელაგა, ეტყობა კარგა ხნის წინ ამოსვლოდათ სული.

„დინამო" — „ერქვანის" მატჩს ესწრებოდა ფ.კ. „ერქვანის" სპონსორი, ასოციაცია „ერქვანის" თავმჯდომარე კობა ჯიბლაშვილი, რომელსაც თამაშის შემდეგ გამოველაპარაკე.

**— ბატონო კობა, „ერქვანი" დაუშვეს ჩემპიონატში, მაგრამ რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, არც ფინანსური და არც სხვა პრობლემები კლუბში ჯერ არ აღმოფხვრილა. როდის მოხდება ეს?**

— უახლოეს მომავალში. ჩვენ და გურჯაანის ახალმა გამგებელმა ნიაზ ჯეირანაშვილმა უკვე ვისაუბრეთ ამაზე. ნოემბრის ბოლოსთვის ყველა პრობლემა გადაჭრილი იქნება.

**— როდის ეყოლება ფ.კ. „ერქვანს" პრეზიდენტი?**

— პრეზიდენტს ამ დღეებშივე ავირჩევთ. ჩვენ მიზნად დავისახეთ, რომ ძლიერი გუნდი შევქმნათ მომავალში და ყველაფერს ამისთვის გავაკეთებთ. ამ ბიჭებმა მართლაც დაიმსახურეს ყველაფერი.

...ახლა რაც შეეხება სათაურს. გულშემატკივრებს ალბათ ახსოვთ, რომ 1990 წლის 30 მარტს პირველი ეროვნული ჩემპიონატის გახსნაზე ფოთის „კოლხეთი 1913-მა" დაამარცხა თბილისის „დინამო" (მაშინ „იბერიად" წოდებული). ფოთელთა სათავეში ჯონი ჯანელიძე იდგა, რომელმაც მისთვის დამახასიათებელ სტილში ფსიქოლოგიურად ისე შეამზადა გუნდი, რომ ფოთელებმა შეუძლებელი შეძლეს. ასე მოხდა გასულ პარასკევსაც, როდესაც ისევ ჯანელიძის მიერ გადადგმული მთელი რიგი ფსიქოლოგიური ნაბიჯების შემდეგ „ერთბურთიანმა" „ერქვანმა" ჩემპიონატის სენსაცია მოახდინა. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ 1991 წლის საგაზაფხულო ჩემპიონატში ზესტაფონის „მარგვეთი", რომელსაც ჯონი ჯანელიძე ედგა სათავეში, ფრედ — 3:3 ეთამაშა „დინამოს", მაშინ თამამად შეიძლება ჯანელიძეს „დინამოლოგი ჯონი" ვუწოდოთ. აი, მისი მოკლე დოსიეც:

**ჯონი ჯანელიძე** 48 წლისაა, თამაშობდა თბილისის „ლოკომოტივში" (ნოდარ ახალკაცთან, ვისლან მელაშვილთან, ოთარ რუხაძესთან ერთად), იყო ქუთაისის „ტორპედოშიც", გორის „დილაშიც", რუსთავის „მეტალურგშიც" და გურჯაანის „ალაზანშიც". საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კაპიტნის სამკლაურიც ჰკეთებია მკლავზე. 1968 წლიდან მწვრთნელობა დაიწყო. მწვრთნელობდა ახალგაზრდულ საფეხბურთო სკოლაში, „ავაზაში", საქართველოს სხვადასხვა ნაკრებებში, „ლოკომოტივში", ზუგდიდის „დინამოში", რვა წელიწადი ფოთის „კოლხეთს" ედგა სათავეში და დიდი წვლილი შეიტანა ამ ქალაქის საფეხბურთო ტრადიციებში. შემდეგ ზესტაფონში გადავიდა, „მარგვეთი" უმაღლეს დივიზიონში გადაიყვანა და იქაც დებიუტანტის კვალობაზე საკმაოდ კარგ შედეგებს მიაღწია. წელს ჩემპიონატამდე ორიოდე დღით ადრე დაშლილ „ერქვანს" ჩაუდგა სათავეში და სულიც ჩაუდგა: ნაუცბათევად შექმნილმა გუნდმა მხოლოდ ორი შეხვედრა წააგო. ფაქტიურად სულ ვეტერანი და უცნობი ფეხბურთელებით ჯანელიძემ მაინც მოახერხა ოთხი თამაშის მოგება. ვინც რა არ უნდა თქვას ამ კაცზე, ფაქტი ერთია: ჯონი ჯანელიძე დღევანდელ ქართულ ფეხბურთში ერთ-ერთი ყველაზე პრაქტიკული მწვრთნელია და რომ იტყვიან, „ქვას წვენს გამოადენს".

**— ბატონო ჯონი, ბოლოსდაბოლოს, იშოვნეთ ბურთები?**

— ასოციაცია „ერქვანის" თავმჯდომარემ კობა ჯიბლაშვილმა ხუთი უცხოური ბურთის საყიდელი ფული მოგვცა.

**— „ერქვანის" შეწყალების შემდეგ რაიმე გადამჭრელი ღონისძიებები გაატარეთ თუ მხოლოდ ფინანსურ სასჯელებს დასჯერდით ფეხბურთელთა მიმართ?**

— გუნდიდან წავიდნენ მეკარე გიორგი მაკასარაშვილი, გიორგი გვაზავა, გოჩა ჩიბაშვილი, ვალერიან გეგეშიძე. მათ მაგივრად მოვი[illegible]ვიე ახალგაზრდები: ნიკა ყიფიანი, [illegible] თი გელბახიანი და ლევან პაპიძე.

**— როგორ გესახებათ „ერქვანის" მომავალი?**

— ჩემი საქმე გუნდის მომზადებაა, ფინანსური მხარე „ერქვანის" თავმჯდომარეს კობა ჯიბლაშვილს და გურჯაანის გამგებელს ნიაზ ჯეირანაშვილს ეხებათ. შეძლებენ ამ პრობლემის გადაჭრას, იქნება გუნდი, ვერ შეძლებენ და დაიშლება.

**— ამ სეზონში ალბათ გადაიჭრება პრობლემები. როგორი იქნება გურჯაანული ფეხბურთის მომავალი?**

— თუ გურჯაანსა და მის რაიონში ბავშვთა ფეხბურთი არ განვითარდა, აზრი არა აქვს გუნდის ყოლას. ასე იქნება მუდამ, შეიძლება ერთს წელიწადს ძლიერი გუნდი გყავდეს, წავლენ მოწვეული ფეხბურთელები და მომავალ სეზონში თავიდან უნდა დაიწყო ყველაფერი. მოკლედ, თუ კლუბის და რაიონის ხელმძღვანელობამ ბავშვთა ფეხბურთს არ მიხედა, ვიმეორებ, გურჯაანში გუნდის ყოლას აზრი არა აქვს.



ჯონი ჯანელიძე

**— თქვენ ადრე არაერთხელ მოიხსენიეთ ქების სიტყვებით ფ.კ. „ალაზანის" პრეზიდენტი მიხეილ ფურცელაძე...**

— მე ყველას ქების სიტყვებით მოვიხსენიებ, ვისაც კარგი უნდა ქართული ფეხბურთისთვის. მიშა ფურცელაძე ფეხბურთისთვის თავდადებული კაცია, კარგი ჩანაფიქრი ჰქონდა, მაგრამ მხარში არ ამოუდგნენ. ასოციაცია „ერქვანისთვისაც" მადლობის მეტი რა გვეთქმის: დაშლილი გუნდი ჩაიბარეს და შეძლებისდაგვარად ცდილობენ ხელშეწყობას. ასეთი ხალხის გარეშე დაიღუპება ქართული ფეხბურთი.

**— „მადა ჭამაში მოდისო", თბილისის გუნდებთან ზედიზედ ორი მოგების შემდეგ ხუთეულის პერსპექტივებიც გამოიკვეთა...**

— ჩვენი მიზანი არც ხუთეულია და არც სხვა რამ. ჩვენი მიზანია ლამაზი ფეხბურთი ვაჩვენოთ მაყურებელს. დანარჩენი მეორეხარისხოვანია. იფიქრებდა ვინმე, რომ გუნდი, რომელიც სეზონის წინ თოთხმეტმა ფეხბურთელმა დატოვა, თერთმეტ თამაშში ოთხს მოიგებდა, თანაც მოთამაშ[illegible] არა, გამოლაპარაკების დროც არ მქონდა. მთავარს, ვფიქრობ, მივაღწიეთ: გურჯაანს გუნდი შევუნარჩუნეთ. თუ წაგვივიდა თამაში, უკვე ხუთეულზე ფიქრიც შეიძლება.

**— თასის განმეორებითი მატჩის მოგებაზე არ ფიქრობთ?**

— მე რეალურად ვუდგები საქმეს. „ივერიასთან" 0:3 წაგებული თამაშის ამოქაჩვა ძნელია. რა თქმა უნდა, შევეცდებით განმეორებითი მატჩის მოგებას, მაგრამ მთავარი საზრუნავი მაინც ჩემპიონატი იქნება.

**— ჩემპიონატი კი კაცმა არ იცის როგორ წარიმართება და დამთავრდება. თქვენი აზრით, რამდენგუნდიანი ჩემპონატი უნდა იყოს საქართველოში?**

— ჩემი აზრით, თორმეტ, მაქსიმუმ — თოთხმეტგუნდიანი. უმაღლესი ლიგა აუცილებლად ერთიანი უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, რა გაჭირვებაც არ უნდა იყოს ქვეყანაში. გუნდებმა კვირაში ერთხელ, შაბათობით ან კვირაობით უნდა ითამაშონ, ოთხშაბათი კი იყოს სარეზერვო დღე, რომელშიც შესაძლებელი იქნება თასების, ევროპული ტურნირების, ამხანაგური თუ სხვა თამაშების ჩასმა. რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებს, იგი თვეში ერთხელ მაინც უნდა თამაშობდეს მატჩს, უმაღლესი ჯგუფის რომელიმე გუნდთან მაინც. ეს ნაკრების წევრებისთვისაც კარგი იქნებოდა და მათი მეტოქე გუნდის ფეხბურთელებისთვისაც. აღარაფერს ვამბობ ნაკრები გუნდისთვის საერთაშორისო თამაშების აუცილებლობაზე.

**— ბევრი მწვრთნელი მსაჯების მიმართ ამ ჩემპიონატში კრიტიკულად არის განწყობილი. თქვენ რას იტყვით შავსამოსიანებზე?**

— მე მსაჯების მიმართ არასდროს მქონია პრეტენზია და არც ახლა მაქვს.

**— რაც თქვენ გიცნობთ, სულ იმას ამბობთ, რომ უფეხბურთოდ გაჩერება არ შეგიძლიათ.**

— მართლაც ასეა, ოცდახუთი წელია მწვრთნელი ვარ და რაღაც გამოცდილება დამიგროვდა, სანამ შემეძლება ფეხბურთში ვიმუშავებ. ჩემთვის გუნდს მნიშვნელობა არა აქვს. ვიცი, რომ ამაზე უმადური პროფესია არ არსებობს, მაგრამ რა ვქნა, უფეხბურთოდ არ შემიძლია.

მამუკა კვარაცხელია

პირველი ჯგუფი. XV ტური

დინამო 1
ერქვანი 2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 12 | 11 | 0 | 1 | 51-14 | 33 |
| ივერია | 13 | 7 | 4 | 2 | 21-12 | 25 |
| მალაროელი | 13 | 6 | 3 | 4 | 22-20 | 21 |
| შევარდენი | 11 | 6 | 1 | 4 | 21-18 | 19 |
| მარგვეთი | 12 | 5 | 3 | 4 | 25-20 | 18 |
| ერქვანი | 11 | 4 | 4 | 3 | 18-20 | 16 |
| საპოვნელა | 12 | 5 | 2 | 5 | 19-12 | 17 |
| კახეთი | 12 | 4 | 2 | 6 | 21-27 | 14 |
| დილა | 12 | 4 | 2 | 6 | 12-18 | 14 |
| მრეტები | 13 | 2 | 1 | 10 | 11-37 | 7 |
| მეტალურგი | 13 | 2 | 0 | 11 | 15-38 | 6 |

მეორე ჯგუფი. VIII ტური. 6.11.

რკონი — თეთრი არწივი 1:2
შირაქი — ჭაბუკიანი 0:3
ნაფარეული — ერქვანი-ზოოვეტი 3:0
თორი — მერანი-91 4:0
მესხეთი — ანცი 0:1
სიონი — მერანი-ბაჩო 1:0
არმაზი — ქართლი 5:0
არაგვი — ბახტრიონი" 2:0
არმაზი-90 — დურუჯი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანცი | 11 | 9 | 1 | 1 | 33-3 | 28 |
| თეთრი არწივი | 11 | 9 | 0 | 2 | 26-9 | 27 |
| ნაფარეული | 11 | 8 | 1 | 2 | 22-9 | 25 |
| დურუჯი | 11 | 8 | 1 | 2 | 27-13 | 25 |
| სიონი | 11 | 6 | 1 | 4 | 20-12 | 19 |
| ჭაბუკიანი | 11 | 5 | 2 | 4 | 19-11 | 17 |
| არაგვი | 11 | 5 | 1 | 5 | 12-17 | 16 |
| ბახტრიონი | 11 | 5 | 0 | 6 | 17-19 | 15 |
| თორი | 11 | 4 | 3 | 4 | 16-17 | 15 |
| მესხეთი | 11 | 4 | 2 | 5 | 11-17 | 14 |
| მერანი-ბაჩო | 11 | 4 | 2 | 5 | 16-19 | 14 |
| არმაზი-90 | 11 | 3 | 3 | 5 | 17-14 | 12 |
| არმაზი | 11 | 3 | 3 | 5 | 18-18 | 12 |
| ერქვანი-ზოოვ. | 11 | 3 | 3 | 5 | 13-19 | 12 |
| შირაქი | 11 | 3 | 2 | 6 | 6-25 | 11 |
| რკონი | 11 | 3 | 1 | 7 | 13-25 | 10 |
| ქართლი | 11 | 1 | 2 | 8 | 5-23 | 5 |
| მერანი-91 | 11 | 1 | 2 | 8 | 5-26 | 5 |

სამიოდე დღის წინ რედაქციაში თბილისელი სპორტის მოყვარული გიორგი სახვაძე გვესტუმრა. მისი მოსვლის მიზეზი ჩვენთვის მოულოდნელი აღმოჩნდა — ბატონმა გიორგიმ „სარბიელს" საკუთარი სპორტული არქივი საჩუქრად გადასცა, რისთვისაც მას მადლობას ვუხდით.

# ჩემპიონის გვეყოლება და თასის მფლობელიც

24 სექტემბერს დასავლეთ ზონაში უკანასკნელად ჩატარდა ეროვნული ჩემპიონატის მატჩები. იმის გამო, რომ სამეგრელოში ექსპრეზიდენტის მომხრეებმა რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს, ხოლო აფხაზმა სეპარატისტებმა სოხუმს შეუტიეს, ამ ზონაში აგერ უკვე თვენახევარია მატჩები არ გამართულა. ორიოდე დღის წინ სამთავრობო ჯარებმა ენგურს მიაღწიეს, გამოიკვეთა სიტუაციის ასე თუ ისე დაწყნარების საშუალება. განახლდება თუ არა ჩემპიონატი დასავლეთ ზონაში? — ამის შესახებ რედაქციაში გვირეკავენ და გვეკითხებიან გულშემატკივრები. ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი **დავით კვინიკაძე** შეეცადა პასუხი გაეცა ამ კითხვებზე:

— ჩვენც ძალიან გვინდა, რომ ფეხბურთი ვითამაშოთ, მაგრამ თქვენ როგორ მიგაჩნიათ, შესაძლებელია დაუყოვნებლივ განვაახლოთ დასავლეთ ზონაში ჩემპიონატი, როდესაც თვით თავდაცვის მინისტრზე აწყობენ თავდასხმას, კლავენ სამურზაყანოს ბატალიონის უფროსს, იღუპება მშვიდობიანი მოსახლეობა? რა გარანტია აქვს ფეხბურთის გუნდს, რომ გზაში მას არ დახვდებიან და არ გაძარცვავენ, ეს უკეთეს შემთხვევაში.

ვიმეორებ, ყველაზე მეტად ჩვენ ვართ ახლა დაინტერესებული ჩემპიონატის განახლებით დასავლეთ ზონაში, მაგრამ სანამ გუნდებისა და ფეხბურთელების უსაფრთხოების გარანტია არ იქნება, როგორ დავნიშნოთ მატჩები?



დავით კვინიკაძე

**— ბატონო დავით, დასავლეთ ზონაში უკვე რამდენიმე ტურის მატჩები გადაიდო. ვთქვათ დაწყნარდა სიტუაცია და განვაახლეთ ერთ კვირაში ჩემპიონატი, განა შესაძლებელია წელს პირველი ეტაპის მატჩების დამთავრება?**

— თუ უახლოეს რიცხვებში, დაახლოებით 20 ნოემბრამდე არ განახლდა ჩემპიონატი დასავლეთ ზონაში, უკვე იმდენი თამაშები დაგროვდა, მართლაც შეუძლებელი გახდება ჩემპიონატის დამთავრება, რადგან უკვე ამინდებიც გაფუჭდება და ყოველ მეორე დღეს ხომ არ ათამაშებ გუნდებს? ასეთ შემთხვევაში მოგვიწევს მეხუთე ეროვნული ჩემპიონატის დებულების გადასინჯვა, რადგან ეროვნული ჩემპიონატი ნებისმიერ პირობებში უნდა ჩატარდეს და დამთავრდეს. აუცილებლად უნდა გამოვლინდეს ჩემპიონიც და თასის მფლობელიც. წინააღმდეგ შემთხვევაში არათუ ევროპულ თასებზე არ დაგვიშვებენ, ინგლისის 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის კენჭისყრაზეც კი, 22 იანვარს. ასე რომ, ყველა ღონე და საშუალება უნდა ვიხმაროთ ჩემპიონატის დასამთავრებლად.

**— ზემოთ თასი ახსენეთ. 14 სექტემბერს გაიმართა საქართველოს თასის მეთექვსმეტედფინალის პირველი მატჩები, განმეორებითი 28 სექტემბერს უნდა გამართულიყო, მაგრამ წინადღეს სოხუმი დაეცა... თასის გათამაშებაში ხომ არ შეიცვლება რამე?**

— იმ შემთხვევაში, თუ დასავლეთ ზონაში ჩემპიონატი ვერ განახლდა უახლოეს მომავალში, ჩემის აზრით საუკეთესო ვარიანტი იქნება დარჩენილი დრო თასის გათამაშებას დავუთმოთ, ჩავატაროთ მეთექვსმეტედფინალის განმეორებითი მატჩები, შემდეგ მერვედფინალი, მეოთხედფინალი. რათა 1994 წლისთვის ოთხი ნახევარფინალისტი გამოვლინდეს, მაგრამ თასის მატჩებამდე ერთი-ორი ტურის გამართვა აუცილებელი იქნება, რათა გუნდები ასე თუ ისე მომზადებულნი შეხვდნენ თასის მატჩებს. ვიმეორებ, ეს ჩემის აზრით, უკეთესი ვარიანტი იქნება.

**— საბოლოოდ, როდის მიიღებთ გადაწყვეტილებას ამის შესახებ?**

— ასე, 9-10 ნოემბერს საგანგებო კომიტეტი შეიკრიბება (მასში შედიან ფედერაციის პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, გენერალური მდივანი და განყოფილების უფროსები). კომიტეტი იმსჯელებს ამის შესახებ და გადაწყვეტილებასაც გამოიტანს.

მამუკა კვარაცხელია

# ბურთზე ოდნავ დიდი პატარები

ერთ კვირას მიმდინარეობდა „ნორჩი დინამოელის" საფეხბურთო სკოლის სტადიონზე 1983-84 წლებში დაბადებულ ბავშვთა ტურნირი, რომელიც ცნობილ ბავშვთა მწვრთნელს ომარ უშვერიძის სახელს ატარებდა. ტურნირის იდეა და ორგანიზაცია ეკუთვნის „ნორჩი დინამოელის" ახალგაზრდა მწვრთნელს გელა გომელაურს, რომელმაც ტურნირის ყველა ორგანიზაციული საკითხი მოაგვარა. აღსანიშნავია, რომ ამ ასაკში ბავშვთა შორის შეჯიბრება პირველად ჩატარდა.

რვა გუნდი ორ ქვეჯგუფად დაიყო. პირველ ქვეჯგუფში მოხვდნენ: დინამო 1, შევარდენი 1, ავაზა და მზიური (ყველა თბილისი), მეორეში: დინამო 2, შევარდენი 2, ვაკე 91 (თბილისი) და გორის „ორბი". ნახევარფინალში შემდეგი შედეგები აღინიშნა: დინამო1 — დინამო2 3:2, „ავაზამ" კი „ორბს" სძლია პენალტებით. ფინალში „დინამო 1"-მა დაამარცხა „ავაზა" 3:0. ტურნირზე დაწესებული უამრავი პრიზი შემდეგნაირად განაწილდა: საუკეთესო მეკარე დათო ბაქრაძე („ავაზა"), მცველი — ბექა შენგელია („დინამო1"), ნახევარმცველი დათო ფუტკარაძე („დინამო1"), თავდამსხმელი ლევან გოგუა („შევარდენი"). ტურნირის საუკეთესო მოთამაშე და ბომბარდირი რვა გატანილი გოლით „დინამოს 1-ის" თავდამსხმელი ირაკლი სამხარაძე გახდა. ყველაზე ტექნიკურ მოთამაშედ გორელი გიორგი ნერგაძე აღიარეს, ხოლო ყველაზე პერსპექტიულად 9 წლის ირაკლი ჯაფარიძე (ვაკე 91). ულამაზესი გოლის ავტორი მამუკა ლომიძე გახდა. გორელებმა ტურნირის ყველაზე კორექტული გუნდის სახელი მოიპოვეს.

როგორც გელა გომელაურმა მითხრა, ეს ტურნირი ნაუცბათევად ჩატარდა. მომავალში იგი მთელს საქართველოს მოიცავს და მონაწილეთა რიცხვი 16-ს ან 24-ს მიაღწევს.

მამუკა კვანტალიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროტურნირების წილისყრა

## ჩემპიონთა თასი

ჩემპიონთა ლიგა

„ა“ ჯგუფი
„ბარსელონა“ ესპანეთი
„მონაკო“ საფრანგეთი
„სპარტაკი“ რუსეთი
„გალათასარაი“ თურქეთი

„ბ“ ჯგუფი
„ვერდერი“ გერმანია
„ანდერლეხტი“ ბელგია
„მილანი“ იტალია
„პორტუ“ პორტუგალია

**თამაშების განრიგი:**

**24 ნოემბერი**
„მონაკო“ — „სპარტაკი“
„გალათასარაი“ — „ბარსელონა“
„ანდერლეხტი“ — „მილანი“
„პორტუ“ — „ვერდერი“

**8 დეკემბერი**
„ბარსელონა“ — „მონაკო“
„სპარტაკი“ — „გალათასარაი“
„ვერდერი“ — „ანდერლეხტი“
„მილანი“ — „პორტუ“

**2 მარტი**
„სპარტაკი“ — „ბარსელონა“
„მონაკო“ — „გალათასარაი“
„მილანი“ — „ვერდერი“
„ანდერლეხტი“ — „პორტუ“

**16 მარტი**
„ბარსელონა“ — „სპარტაკი“
„გალათასარაი“ — „მონაკო“
„ვერდერი“ — „მილანი“
„პორტუ“ — „ანდერლეხტი“

**30 მარტი**
„სპარტაკი“ — „მონაკო“
„ბარსელონა“ — „გალათასარაი“
„მილანი“ — „ანდერლეხტი“
„ვერდერი“ — „პორტუ“

**13 აპრილი**
„მონაკო“ — „ბარსელონა“
„გალათასარაი“ — „სპარტაკი“
„ანდერლეხტი“ — „ვერდერი“
„პორტუ“ — „მილანი“

27 აპრილს შედგება ნახევარფინალები:

„ა“ ჯგუფის პირველი ადგილი — „ბ“ ჯგუფის მეორე ადგილი

„ბ“ ჯგუფის პირველი ადგილი — „ა“ ჯგუფის მეორე ადგილი

ფინალი 18 მაისს გაიმართება.

## თასების თასი

მეოთხედფინალი

„ბენფიკა“ პორტუგალია — „ბაიერი“ ლევერკუზენი, გერმანია

„აიაქსი“ ჰოლანდია — „პარმა“ იტალია

„ტორინო“ იტალია — „არსენალი“ ინგლისი

„რეალი“ მადრიდი, ესპანეთი — „პარი სენ-ჟერმენი“ საფრანგეთი

**მატჩები 2 და 16 მარტს გაიმართება.**

## უეფას თასი

მერვედფინალი

„აინტრახტი“ გერმანია — „ლა კორუნია“ ესპანეთი

„ბრონდბიუ“ დანია — „ბორუსია“ დორტმუნდი, გერმანია

„ბორდო“ საფრანგეთი — „კარლსრუე“ გერმანია

„სპორტინგი“ პორტუგალია — „კაზინო“ ავსტრია

„კალიარი“ იტალია — „მეხელენი“ ბელგია

„ნორვიჩ სიტი“ ინგლისი — „ინტერი“ იტალია

„ბოავიშტა“ პორტუგალია — ო.ფ.ი. საბერძნეთი

„იუვენტუსი“ იტალია — „ტენერიფე“ ესპანეთი

**მატჩები 23-24 ნოემბერს და 7-8 დეკემბერს შედგება.**

---

პარასკევს ჟენევაში ჩატარებული კენჭისყრის მთავარი მომენტი ჩემპიონთა ლიგის ორ ჯგუფში რვა გუნდის განაწილება იყო. ეს პროცედურა, უეფა-ს სასახელოდ უნდა ითქვას, ნამდვილ შოუდ იქცა თავისი ორკესტრითა და რვა გუნდის მაისურებში გამოწყობილი გოგონებით. დანიელი წამყვანი ქალი, რომელიც, თურმე ჰოკეისტი ყოფილა (ვინ წარმოიდგენდა!), სცენაზე უხმობდა გუნდების წარმომადგენლებს და მათ ანდობდა თავიანთი ბედის გადაწყვეტას. „მილანი“ და „ბარსელონა“, რა თქმა უნდა, განთესილები იყვნენ. დანარჩენები კი უკვე თავისუფალი კენჭისყრით განაწილდნენ. გაუმართლა „სპარტაკს“, თუმცა ვინც ამ გუნდის ყისმათი იცის, არ გაჰკვირვებია. რუსეთის ან უკვე ორგზის ჩემპიონს ნახევარფინალში მოხვედრის დიდი შანსი გაუჩნდა: ყველა იმ ქვეყნის გუნდი, რომელთანაც „სპარტაკს“ უჭირს თამაში, „ბ“ ჯგუფში „მილანთან“ ჩაირიცხა. ესეც რომ არ იყოს, ამჯერად, ცსკა-სგან განსხვავებით, „სპარტაკი“ საშინაო მატჩებს მოსკოვში ატარებს. ძალიან მეეჭვება, 8 დეკემბერს თურქებმა სუსხიან (მეტი რომ არ ვთქვათ) ამინდში წინააღმდეგობა გაუწიონ მოსკოველებს. „ბარსელონასაც“ 2 მარტს უწევს რუსეთის დედაქალაქში თამაში და მის დაცვაში პრობლემას ამინდიც დაემატება. ღმერთმა ჰქნას, ვცდებოდე, მაგრამ ისიც გავიხსენოთ, რომ რუსეთის სუსხებმა თურქილმაზს, კუმანს და კლინსმანს კი. არა, თავის დროზე ამ უკანასკნელის თანამემამულე ჰიტლერს მოუღო ბოლო. ასეა თუ ისე, „ბ“ ჯგუფი აშკარად უფრო ძლიერია, ვიდრე „ა“ ჯგუფი. საინტერესოა, რომ ჩემპიონთა ლიგის სამწლიანი ისტორიის მანძილზე (1991-92 სეზონში, უბრალოდ, ჩემპიონთა ლიგა არ ეწოდებოდა) მასში მესამედ მოხვდნენ იტალიის, პორტუგალიისა და ბელგიის კლუბები, თუმცა ვერცერთი ცალკეული კლუბი ვერ დაიკვეხნის ამავე შედეგით. მეორედ თამაშობნენ ლიგაში „ანდერლეხტი“, „პორტუ“, „მილანი“ და „ბარსელონა“. ზედიზედ მეორედ ჯგუფში ერთად მოხვდნენ „მილანი“ და „პორტუ“. შარშანდელისგან განსხვავებით, ალბათ, „მილანი“ ისე არხეინად ველარ გაივლის ჯგუფურ ტურნირს, თუმცა, ნახევარფინალში ალბათ მაინც მოხვდება. შეგახსენებთ, რომ ნახევარფინალები ერთი მატჩისგან შედგება და ისინი ჯგუფებში პირველ ადგილზე გასული გუნდების მოედნებზე შედგება.

თასების თასის მერვედფინალში წლეულს ძალზე ძლიერი გუნდები შეიკრიბნენ. ასეთი შემადგენლობა ამ ტურნირზე ალბათ კარგა ხანია, არ ყოფილა. შეიძლება ითქვას, რომ ამჯერად თასების თასზე, რომელიც გუნდების სიძლიერით ფაქტიურად ყოველთვის ჩამორჩება ჩემპიონთა და უეფა-ს თასებს, ყველაზე დაძაბული და საინტერესო მატჩები იქნება. მეოთხედფინალის ოთხივე წყვილი თანაბარია და არცერთში ფავორიტი არ არსებობს, მაგრამ მაინც გამოვყოფ „აიაქსისა“ და „პარმას“ წყვილს. საინტერესოა, რომ „აიაქსი“ ევროთასების ისტორიაში მეცხრედ ხვდება იტალიურ კლუბს. წინა რვაში ამსტერდამელებმა ხუთჯერ მოიგეს. „რეალი“ და „პარი სენ-ჟერმენი“ ზედიზედ მეორედ ხვდებიან მეოთხედფინალში. თუმცა შარშან ისინი უეფა-ს თასზე გამოდიოდნენ. როგორც გახსოვთ, შარშან 1:3 წაგების შემდეგ პარიზელებმა სრული რევანში აიღეს და 4:1 დაამარცხეს „რეალი“. პირველი მატჩი ამჯერადაც ესპანეთის დედაქალაქში გაიმართება.

აღსანიშნავია, რომ უეფა-ს თასის მერვედფინალის კენჭისყრისას ნამდვილად გაუმართლათ პორტუგალიურ კლუბებს. რაც შეეხება დანარჩენ წყვილებს, აქ გამარჯვებულების ამოცნობა სარისკო საქმეა.

ზურაბ მეძველია

CHAMPIONS LEAGUE

| A | B |
|---|---|
| ბარსელონა | ვერდერი |
| მონაკო | ანდერლეხტი |
| სპარტაკი | მილანი |
| გალათასარაი | პორტუ |

## გერმანია

XV ტური. 5-6 ნოემბერი. „ბორუსია“ „მიონხენგლადბახი“ — „ჰამბურგი“ 2:2, „კაიზერსლაუტერნი“ — „ვატენშაიდი“ 4:1, „შალკე 04“ — „ლაიპციგი“ 3:1, „კიოლნი“ — „ვერდერი“ 2:0, „ფრაიბურგი“ — „შტუტგარტი“ 2:1, „კარლსრუე“ — „დუისბურგი“ 5:0, „ნიურნბერგი“ — „ბაიერნი“ 2:0, „დინამო“ დრეზდენი — „ბაიერი“ 1:1, „აინტრახტი“ — „ბორუსია“ დორტმუნდი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აინტრახტი (3) | 15 | 10 | 4 | 1 | 34-13 | 24 |
| ბაიერნი (2) | 15 | 7 | 5 | 3 | 37-17 | 19 |
| კაიზერსლ. (8) | 15 | 8 | 3 | 4 | 30-20 | 19 |
| ვერდერი (1) | 15 | 7 | 5 | 3 | 26-18 | 19 |
| ჰამბურგი (11) | 15 | 8 | 2 | 5 | 29-24 | 18 |
| დუისბურგი (დ) | 15 | 6 | 6 | 3 | 21-21 | 18 |
| ლევერკუზ. (5) | 15 | 6 | 5 | 4 | 29-22 | 17 |
| კიოლნი (12) | 15 | 7 | 3 | 5 | 21-18 | 17 |
| დორტმუნდი (4) | 15 | 6 | 3 | 6 | 22-22 | 15 |
| ფრაიბურგი (დ) | 15 | 5 | 4 | 6 | 25-27 | 14 |
| შტუტგარტი (7) | 14 | 4 | 5 | 5 | 21-26 | 13 |
| კარლსრუე (6) | 14 | 4 | 5 | 5 | 19-17 | 13 |
| ნიურნბ. (13) | 15 | 5 | 2 | 8 | 20-26 | 12 |
| მ.გლადბახი (9) | 15 | 3 | 5 | 7 | 24-33 | 11 |
| ლაიპციგი (დ) | 15 | 2 | 6 | 7 | 12-28 | 10 |
| ვატენშ. (14) | 15 | 1 | 7 | 7 | 20-30 | 9 |
| დინამო (15) | 15 | 3 | 6 | 6 | 16-27 | 8 |
| შალკე (10) | 15 | 2 | 4 | 9 | 13-30 | 8 |

დრეზდენის „დინამოს“ დაკლებული აქვს ოთხი ქულა

## იტალია

XI ტური. 7 ნოემბერი. „რომა“ — „ფოჯა“ 0:0, „ატალანტა“ — „პიაჩენცა“ 0:0, „ინტერი“ — „მილანი“ 1:2, „ნაპოლი“ — „ლაციო“ 1:2, „კრემონეზე“ — „ლეჩე“ 2:1, „პარმა“ — „იუვენტუსი“ 2:0, „სამპდორია“ — „კალიარი“ 1:2, „ტორინო“ — „რეჯანა“ 2:0, „უდინეზე“ — „ჯენოა“ 0:4.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარმა (3) | 11 | 7 | 2 | 2 | 17-7 | 16 |
| მილანი (1) | 11 | 6 | 4 | 1 | 14-6 | 16 |
| იუვენტუსი (4) | 11 | 6 | 3 | 2 | 21-11 | 15 |
| სამპდორია (7) | 11 | 7 | 1 | 3 | 21-15 | 15 |
| ინტერი (2) | 11 | 5 | 4 | 2 | 12-8 | 14 |
| კრემონეზე (დ) | 11 | 5 | 3 | 3 | 12-9 | 13 |
| ლაციო (5) | 11 | 4 | 5 | 2 | 9-9 | 13 |
| ტორინო (9) | 11 | 5 | 2 | 4 | 15-12 | 12 |
| ნაპოლი (11) | 11 | 4 | 4 | 3 | 13-12 | 12 |
| კალიარი (6) | 11 | 5 | 2 | 4 | 17-17 | 12 |
| ფოჯა (12) | 11 | 1 | 8 | 2 | 7-9 | 10 |
| რომა (10) | 11 | 3 | 4 | 4 | 9-12 | 10 |
| პიაჩენცა (დ) | 11 | 2 | 5 | 4 | 7-12 | 9 |
| ჯენოა (13) | 11 | 2 | 4 | 5 | 8-11 | 8 |
| ატალანტა (8) | 11 | 2 | 3 | 6 | 13-21 | 7 |
| უდინეზე (14) | 11 | 2 | 2 | 7 | 7-16 | 6 |
| რეჯანა (დ) | 11 | 0 | 6 | 5 | 4-13 | 6 |
| ლეჩე (დ) | 11 | 1 | 2 | 8 | 11-17 | 4 |

## გერმანული ლეგიონი

**ბუნდესლიგის ისტორიაში (1963-93) 413 ლეგიონერი თამაშობდა. მათგან ყველაზე მეტი (76) იუგოსლავი იყო. სულ კი ლეგიონერები 49 ქვეყანას წარმოადგენდნენ. ამჟამად ბუნდესლიგის კლუბების განაცხადში 71 უცხოელი ფეხბურთელია.**




ჩირიაკო სფორცა და „კაიზერსლაუტერნის“ პრეზიდენტი ნორბერტ თინესი კონტრაქტის დადების შემდეგ

**„აინტრახტი“ ფრანკფურტი:** მცველი კახი ცხადაძე (საქართველო); ნახევარმცველები სლობოდან კომლენოვიჩი (ხორვატია), აუგუსტინ ოკოჩა (ნიგერია); თავდამსხმელები მიხაელ ანისიჩი (ბოსნია), იან ფურტოკი (პოლონეთი), ენტონი იებოა (განა).

**„ბაიერი“ ლევერკუზენი:** ნ. პაველ ჰაპალი (ჩეხეთი), იოან ლუპესკუ (რუმინეთი), პაულუ სერჟიო (ბრაზილია).

**„ბაიერნი“ მიუნხენი:** მ. ჟორჟინიო (ბრაზილია); ნ. იან ვაუტერსი (ჰოლანდია); თ. ჰარალდ ჩერნი (ავსტრია), მაზინიო (ბრაზილია), ადოლფო ვალენსია (კოლუმბია).

**„ბორუსია“ დორტმუნდი:** მ. ნედიელკო ზელიჩი (ავსტრალია); თ. სტეფან შაპუიზა (შვეიცარია), ფლემინგ პოლსენი (დანია).

**„ბორუსია“ მიონხენგლადბახი:** ნ. ჯონი მიოლბიუ (დანია), პეტერ ნილსენი (დანია); თ. მარტინ დალინი (შვედეთი), ბაჰირონ სალუ (ტოგო).

**„დინამო“ დრეზდენი:** მეკარე სტანისლავ ჩერჩესოვი (რუსეთი); ნ. მარეკ პენქსა (სლოვაკეთი), მიროსლავ სტევიჩი (სერბია).

**„დუისბურგი“:** მეკარე ზორან ზელიკო (ხორვატია); მ. ალფრედ ნეიჰუსი (ჰოლანდია); ნ. რახიდ აზონზი (მაროკო), ჰანს რაინმაირი (ავსტრია).

**„ვატენშაიდი“:** ნ. ივიცა იოჟიჩი (ბოსნია), კარელ კულა (სლოვაკეთი); თ. ალი იბრაჰიმი (განა), მარკ ლესნიაკი (პოლონეთი), სულეიმან სანე (სენეგალი).

**„ვერდერი“ ბრემენი:** მ. რუნე ბრატსეტი (ნორვეგია); ნ. ანდრეას ჰერცოგი (ავსტრია); ვინტონ რუფერი (ახალი ზელანდია).

**„კაიზერსლაუტერნი“:** მ. იან ერიქსონი (შვედეთი), მიროსლავ კადლეცი (ჩეხეთი); ბიარნე გოლდბეკი (დანია), ჩირიაკო სფორცა (შვეიცარია).

**„კარლსრუე“:** მ. სლავენ ბილიჩი (ხორვატია), სრეჩკო ბოგდანი (ხორვატია); ნ. ვალერი შმაროვი (რუსეთი); თ. სერგეი კირიაკოვი (რუსეთი).

**„კიოლნი“:** მ. კიმ კრისტოფტე (დანია); ნ. ჰენრიკ ანდერსენი (დანია), ანდჟეი რუდი (პოლონეთი); თ. ანდჟეი კობილანსკი (პოლონეთი), ანტონ პოლსტერი (ავსტრია).

**„ლაიპციგი“:** მ. ჯონ დოილი (აშშ); თ. ფრანკლინ ბიტენკური (ბრაზილია).

**„ნიურნბერგი“:** ნ. ალან სუტერი (შვეიცარია); თ. სერხიო ბუსტოსი (არგენტინა), სერხიო სარატე (არგენტინა).

**„ფრაიბურგი“:** ნ. ოსტინ ბერი (კოსტა რიკა), დამირ ბურიჩი (ხორვატია), რუდოლფო კარდოსო (არგენტინა), პასხალის სერეტისი (საბერძნეთი); თ. ალტინ რაკლი (ალბანეთი).

**„შალკე 04“ გელზენკირხენი:** ნ. ალექსანდრ ბოროდიუკი (რუსეთი), ჩად დირინგი (აშშ), ირჟი ნემეცი (ჩეხეთი); თ. იური მულდერი (ჰოლანდია).

**„შტუტგარტი“:** მ. სლობოდან დუბაჯიჩი (სერბია); ნ. კარლოს დუნგა (ბრაზილია), ეიოლვურ სვერისონი (ისლანდია); ადრიან კნუპი (შვეიცარია).

**„ჰამბურგი“:** ნ. იორდან ლეჩკოვი (ბულგარეთი), სტიგ ტოფტინგი (დანია), პეტერ ვუდრინგი (აშშ); თ. ვალდას ივანაუსკასი (ლიტვა).

# «ჯეი ლიგა»: ნაბიჯი XXI საუკუნეში

მართალია, იაპონიის ნაკრები ვერ მოხვდა 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, მაგრამ ჩვენი მკითხველისთვის, ალბათ, მაინც საინტერესო იქნება გაეცნოს იმ ქვეყნის ფეხბურთს, სადაც თუნდაც უკვე ვეტერანები ლინეკერი, ლიტბარსკი, ზიკო და სხვები თამაშობენ.

იაპონიამ უკვე წამოაყენა თავისი კანდიდატურა მომდევნო ასწლეულში ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატში ჩასატარებლად. არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ფეხბურთის მოყვარულები ასეთ ნაბიჯს იაპონელთა უცნაურ ახირებად ჩათვლიდნენ, მაგრამ დღეისთვის თავში ალარავის აზრადაც არ მოუვა ამომავალი მზის ქვეყანაში 2002 წლისათვის მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარების პერსპექტივაზე უარყოფითი რამ გამოთქვას. იაპონელები, როგორც ყველაფერს; ამ საქმესაც მათთვის ჩვეული საფუძვლიანობით მოეკიდნენ და მალე ყველანი დაარწმუნეს იმაში, რომ მსოფლიოს ჩემპიონატს, თუკი მისი ჩატარების ნებას დართავენ, კოლოსალური წარმატება ექნება. იაპონელთა მხარდამჭერთა შორის უკვე ისეთი გამოჩენილი საფეხბურთო პიროვნებები არიან, როგორებიცაა პელე, ბობი ჩარლტონი, ფრანც ბეკენბაუერი და სხვები.

წლევანდელი წელიწადი ერთგვარად ისტორიული გახდა იაპონიის ცხოვრებაში: დასაბამი მიეცა იაპონიის პროფესიულ საფეხბურთო ლიგას — ჯეი ლიგას. ამით ამ ქვეყნის ფეხბურთი თვისობრივად ახალ სიმაღლეზე ავიდა. საინტერესოა, რას წარმოადგენს ამჟამად „ჯეი ლიგა" და როგორია მისი წესები და რეგლამენტი.

ლიგის პირველობაში ათი გუნდი მონაწილეობს (მომავალში დაგეგმილია მონაწილე გუნდების 15-მდე გაზრდა, უფრო შორეულ პერსპექტივაში — 18-მდეც კი). ჩემპიონატი დაყოფილია ორ ორწრიან ტურნირად — საგაზაფხულო და საშემოდგომო, რომელთა გამარჯვებულებიც სეზონის ბოლოს ორმატჩიან პაექრობაში ჩემპიონს გაარკვევენ. ლიგაში ფრე არ არსებობს. თუკი 90 წუთი ვერ გამოავლენს გამარჯვებულს, ინიშნება დამატებითი დრო, რომელიც პირველ გატანილ გოლამდე გრძელდება. თუკი ესეც უშედეგოდ ჩაივლის, მატჩის შემდგომ პენალტებს ურტყამენ. მოგებისათვის, იმისდამიუხედავად თუ როგორ იქნა იგი მოპოვებული (ძირითად დროში თუ პენალტებით), გუნდი ორ ქულას ღებულობს. თითოეული კლუბისთვის ნებადართულია ხუთი უცხოელის ყოლა. ამათგან მატჩში მონაწილეობა სამზე მეტს არ შეუძლია. ამ სეზონის დამთავრების შემდეგ „ჯეი ლიგა" შეივსება იმ ორი გუნდით, რომლებიც პირველ და მეორე ადგილებს დაიკავებენ მეორე დივიზიონში, რომელიც იაპონიის სამოყვარულო საფეხბურთო ლიგას ეკუთვნის.

ინტერესმოკლებული არ იქნება იაპონიის ჩემპიონატის მონაწილეთ გავეცნოთ.

„ფლიუგელსი" იოკოჰამა. ამ გუნდის სახელწოდება გერმანულიდან ითარგმნება, როგორც „ფრთები". კლუბის სპონსორია ავიაკომპანია ANA. გუნდის ხელმძღვანელობამ სტრატეგიული შეცდომა დაუშვა, ვინაიდან თავის დროზე არ იზრუნა კლუბის მუდმივ ადგილსამყოფელზე: „ფლიუგელსი" ხომ თავის საშინაო მატჩებს ატარებს როგორც იოკოჰამაში, ასევე კუნძულ კიუსიუზე, რომელიც ქალაქიდან რამოდენიმე ასეული კილომეტრითაა დაცილებული. ეს ამბავი, მართალია, ამ მდიდარ ავიაკომპანიას არ აღარდებს, მაგრამ ამის გამო გუნდი გულშემატკივრების დიდი სიყვარულითა და მხარდაჭერით არ სარგებლობს, რადგან მას თავისიანად არსად მიიჩნევენ. კლუბში ხუთი ლეგიონერია. სამი ბრაზილიელი: ნახევარმცველი ედუ, ფორვარდები მენონი და კარლოს პრეტი; სალვადორელი თავდამსხმელი ჩელონა და არგენტინელი ნახევარმცველი მონერი.

„ჯეფ იუნაიტედი" ფურუკავა. ამ გუნდის სპონსორებია სარკინიგზო კომპანია „ჯეი ერ ისტ" და „ფურუკავა ელექტრიკსი". გუნდის წინამორბედმა კლუბმა „ფურუკავამ" 1986 წელს აზიის ქვეყნების ჩემპიონთა თასი მოიპოვა. სადღეისოდ გუნდის ძირითადი ძალაა საიმედო დაცვა და კარგი მეკარე — კენიჩი სიმოკავა, რომელიც წარმატებით იცავს იაპონიის ეროვნული ნაკრების კარსაც. ახლახანს შეძენილმა ცნობილმა გერმანელმა ფეხბურთელმა პიერ ლიტბარსკიმ „იუნაიტედის" შეტევებს სიმძაფრე შემატა. გუნდის ძირითადი პრობლემაა საკუთარი სტადიონის უქონლობა, რომელიც ამჟამად მშენებლობის პროცესშია. ლიტბარსკის გარდა „ჯეფ იუნაიტედის" ღირსებას შემდეგი უცხოელები იცავენ: ბრაზილიელი მცველი ჩავესი და ორი ყოფილი ჩეხეთ-სლოვაკელი — ნახევარმცველი პაველ რეჟიხა და თავდამსხმელი ფრანტიშეკ მისლივეჩეკი.



პიერ ლიტბარსკი

„გამბა" ოსაკა. ამ გუნდის სახელწოდება იტალიურად ფეხს ნიშნავს. კლუბის სპონსორია „მაცუსიტა ელექტრიკი". გასული წლის შემოდგომაზე ტაილანდში გამართულ ტურნირზე „გამბამ" გამარჯვება მოიპოვა და სამეფო თასს დაეუფლა. კლუბის სტადიონი 23 000 მაყურებელს იტევს. ამ გუნდში გამოდიან: ჩინეთის ნაკრების მცველი ჟა შუკანი, ბრაზილიელები — თავდამსხმელი ფლავიო ენრიკე, ნახევარმცველი მიულერი და მცველი კლაუდიო. დადიოდა ხმები იმის თაობაზე, თითქოს „გამბა" მოლაპარაკებას აწარმოებდა ცნობილ ბრაზილიელ კარეკასთან, მაგრამ ახლახან გუნდში სხვა ლეგიონერები გამოჩნდნენ: სერგეი ალეინიკოვი იტალიის „ლეჩედან" და ბულგარელი მცველი კირილ მეტკოვი. სიტყვამ მოიტანა და 32 წლის ანტონიო კარეკამ, რომელიც ბოლო ხუთი წლის მანძილზე „ნაპოლიში" თამაშობდა, ექვსთვიან კონტრაქტს მოაწერა ხელი მეორე დივიზიონის კლუბ „კავიშასთან", რომლის სპონსორი ცნობილი ფირმა „ჰიტაჩია". კარეკა კონტრაქტით ერთ მილიონ ამერიკულ დოლარს მიიღებს.

„გრემპას ეითი" ნაგოია. „ეითი" — რვიანი (8) იაპონიაში ბედნიერ რიცხვადაა მიჩნეული. ამ გუნდს ბევრი სპონსორი ჰყავს, რომელთაგან ძირითადებია „ტოიოტა" და „ტოკაი ბანკი". კლუბის უცხოელი ფეხბურთელებია: ინგლისელი ბომბარდირი გარი ლინეკერი, ჰოლანდიელი მეკარე დირკ ჰავენაარი და ორი ბრაზილიელი — ჟორჟინიო და პიტა. ახლახან მათ ელიველტონი დაემატა. საშინაო მატჩებს გუნდი ატარებს ორ სტადიონზე, რომლებიც შესაბამისად 15 და 30 ათას მაყურებელს იტევენ.

„ენთლერსი" კასიმა. ამ პატარა ქალაქმა (მოსახლეობა სულ რაღაც 45 000 კაცია) რატომღაც ფეხბურთი აირჩია მსოფლიო დიდების მისაღწევ ძირითად საშუალებად, ამიტომაც გუნდის სპონსორად მსხვილ კომპანია „სუმიტომო მეტალსთან" ერთად თვით ქალაქი კასიმაც ითვლება. გუნდის ყველაზე უფრო კაშკაშა ვარსკვლავია ბრაზილიელი ზიკო, მასთან ერთად მისი ოთხი თანამემამულეც თამაშობს: დუშ სანტუში, ალსინდო სარტორი, კარლუშ სუარეშ გარიტი და ფელისბერტო მასარინი. სტადიონი 15 000 მაყურებელს იტევს.

„მარინოსი" იოკოჰამა. ადრე ამ კლუბს მთავარი სპონსორის სახელწოდებიდან გამომდინარე „ნისანი" ეწოდებოდა. ამჟამად „მარინოსი" აზიის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მფლობელია. გუნდში თამაშობენ იაპონიის ნაკრების წევრები: მეკარე სიგეტაცუ მაცუნაგა, მცველები ტოსინობუ კაცუია და მასამი იჰარა. მართალია, სეზონის დაწყებამდე გუნდიდან წავიდა ეროვნული ნაკრების კაპიტანი ტაკაჰირო იმადა, მაგრამ მისი არყოფნა სწრაფ დავიწყებას მიეცა ცნობილი არგენტინელი ფორვარდის რამონ დიასის მოსვლის შემდეგ. მასთან ერთად თამაშობს მისი თანამემამულე დავიდ ბისკონტიც, რომელსაც აგრეთვე გააჩნია თავისი ქვეყნის ნაკრებში თამაშის გამოცდილება. კლუბში ირიცხება ორი ბრაზილიელი ფეხბურთელიც: ევერტონ ნოგეირა და მარიო ხეზარი. კლუბის სტადიონი მხოლოდ 15 ათას მაყურებელს იტევს, მაგრამ 1997 წლისთვის აშენდება ახალი სტადიონი, რომელიც 70 ათას ფეხბურთის მოყვარულს დაიტევს.

„რედ დაიმონდსი" ურავა. კლუბის სპონსორია ცნობილი საავტომობილო გიგანტი „მიცუბისი მოტორსი". წარსულში ეს გუნდი უკვე ოთხჯერ გამხდარა ქვეყნის ჩემპიონი. მისი ძირითადი კოზირია შეტევა, რომელსაც სათავეში იაპონიის ნაკრების ფორვარდი მასაჰირო ფუკუდა და გუნდის ვეტერანი კოიჩი ჰაშირატანი უდგანან. დაცვის რიგებს ამაგრებს არგენტინელი ტრივისონო. ნახევარდაცვას ხელმძღვანელობენ ეკვადორელი მარსელო მორალესი და პერუელი ედვინ უეჰარა. გუნდის მეოთხე ლეგიონერია არგენტინელი ფორვარდი უგო ფერეირა. აღსანიშნავია ისიც, რომ გუნდის კონსულტანტია თვით ფრანც ბეკენბაუერი.

„სანფრეჩე" ხიროსიმა. „სანი" იაპონურად შვილს ნიშნავს, ხოლო „ფრეჩე" ადგილობრივი ვარიანტია იტალიური სიტყვის „ფლეჩეს" წარმოთქმისა, რაც ისრებს ნიშნავს. ადრე ეს გუნდი, რომელიც ცნობილი იყო „მაზდას" სახელწოდებით, ხუთჯერ გახდა იაპონიის ჩემპიონი, რაც ქვეყნის რეკორდია. ამჟამად „სანფრეჩე" „ჯეფ იუნაიტედთან" ერთად ევროპული ორიენტაციის ფეხბურთის მკვეთრად გამოხატული წარმომადგენელია. გუნდს ავარჯიშებს შოტლანდიელი მწვრთნელი სტიუარტ ბაქსტერი. გუნდის კარს იცავს მისი ვაჟი ლი ბაქსტერი. დაცვაში გამოირჩევა შვედი ვონდერბურგი. მათ გარდა გუნდში თამაშობენ ამერიკელი მცველი დანიელ კალიჩმანი, ბრაზილიელი ნახევარმცველი ანდრე გუსტავო და ფორვარდი სამხრეთ კორეიდან ნო იუნგ იუნი.

„ს-პულსი" სიმიძუ. სიმიძუ ქვეყნის ყველაზე უფრო საფეხბურთო ქალაქია. აქ აღმოცენდნენ და დაისტატდნენ ის გუნდები, რომლებიც შემდგომში ყველა ასაკობრივ ჯგუფში სჯობდნენ დანარჩენებს. ამჟამად გუნდს წარსულში ცნობილი ბრაზილიელი მეკარე ემერსონ ლეაო წვრთნის და კლუბის ყველა ლეგიონერი მისი თანამემამულეა: მცველი მარკ ანტონიუ, ნახევარმცველები ადემირ სანტუში და ედუ, ფორვარდები ტონინიო და ჟერსონ პორტუ. გუნდის ძირითადი სპონსორია პრეფექტურა სიძუოკის ტელევიზია.

„ვერდი" კავასაკი. „მწვანეები" კიდევ ერთ ბრაზილიურ ბანკს წარმოადგენენ. აქ თამაშობს ოთხი ბრაზილიელი: მცველი ლუის პერეირა, ნახევარმცველი მარსიო დუშ სანტუში, თავდამსხმელები პაულინიუ და ბისმარკი. გუნდში კიდევ ერთი უცხოელია — სამხრეთ კორეელი ფორვარდი კიმ სან იუნი, მათ გარდა გუნდში იაპონიის ნაკრების ექვსი ფეხბურთელი გამოდის. კლუბის სპონსორებია გაზეთი „იომიური" და ტელეკომპანია „ნიპონი". სტადიონი, რომელზედაც გუნდი თამაშებს ატარებს, 15 ათას მაყურებელს იტევს. პარალელურად მიმდინარეობს ახალი გიგანტური, ასათასიანი სტადიონის მშენებლობა.

უთუოდ ანგარიშგასაწევია იაპონიის ჩემპიონატის მონაწილე ორი ცნობილი ვარსკვლავის — ინგლისელი გარი ლინეკერისა და ბრაზილიელი ზიკოს შეხედულებანი იაპონურ ფეხბურთზე.

**გარი ლინეკერი:** ჩემი ახალი გუნდის მოთამაშეთა დამოკიდებულებამ ჩემს მიმართ თავიდან ძალიან გამაოცა. მართალია მეგობრულად მექცეოდნენ, მაგრამ მეტისმეტ სიმორცხვეს და თავშეკავებას ამჟღავნებდნენ, ალბათ ერთგვარად მალმერთებდნენ კიდეც. თანდათან ყოველივე ამან გაიარა და ახლა ისინი უკვე აღარ ფარავენ თავიანთ სიხარულს იმის გამო, რომ მე მათ გუნდში ვირიცხები. მათი თამაში ამჟამად აღმავლობას განიცდის. ამის გამოც იყო, რომ ჩემპიონატის დაწყებამდე ჩვენ ამხანაგურ მატჩებში იტალიის „ლაციო" და ბრაზილიის „გრემიო" დავამარცხეთ. იტალიელებს ერთი გოლი გავუტანე, ბრაზილიელებს კი — ორი. მართალია, ლიგის ჩემპიონატში ჩვენი გუნდის გამოსვლა ჯერჯერობით წარმატებულად ვერ ჩაითვლება, მაგრამ მიმაჩნია, რომ ჯერ კიდევ ყველაფრის გამოსწორება შეიძლება. შესაძლებელია სეზონის ბოლოსთვის ბევრ აქაურ მოთამაშეს დაღლილობის შეგრძნება გაუჩნდეს, რადგან დამატებითი დროის თამაშს დიდი ენერგია მიაქვს. თანაც, კვირაში ორ-ორ თამაშს ვთამაშობთ. თუმცა, ყოველივე ეს მაინც აქაური ჩემპიონატის მეტად უმნიშვნელო მინუსებია, მთავარი კი ისაა, რომ იაპონელი ბავშვებისთვის ფეხბურთი უსაყვარლესი სახეობა გახდა. ამიტომაც მიმაჩნია, რომ იაპონია 2002 წლის ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატის ჩასატარებლად იდეალური კანდიდატურაა. დარწმუნებული ვარ, იაპონელები ყველაფერს ჩინებულად გააკეთებენ.

**ზიკო:** მე შემეძლო, ისევე როგორც ჟუნიორს, გამეგრძელებინა ბრაზილიაში თამაში, მაგრამ იქაური ფეხბურთის ორგანიზაციის საქმეში იმდენი პრობლემა დაგროვდა, რომ ჩემი თამაში შეუძლებელი შეიქნა. ბრაზილიაში პოლიტიკოსებიც კი იჭრებიან ფეხბურთის სფეროში, მაგრამ მხოლოდ ეგოისტური მოსაზრებით მოქმედებენ და არავითარი სარგებლობა არ მოაქვთ, იაპონიაში კი ყველაფერი სხვანაირადაა. ამ ქვეყანამ მე ფეხბურთის თამაშის სტიმული დამიბრუნა, ამიტომაც როდემდეც შევძლებ, მანამდე დავეხმარები იაპონელებს. მე მთელი საფეხბურთო სამყარო შემომივლია, მაგრამ ახლა დაბეჯითებით შემიძლია განვაცხადო, რომ იაპონია ფეხბურთის სათამაშოდ მსოფლიოში საუკეთესო ადგილია. ადამიანები ამ ქვეყანაში ყველაფერს სერიოზულად ეკიდებიან და როცა ისინი ამბობენ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარება სურთ, ამას სერიოზულად აცხადებენ. გვერდიდან საქმე ისე მოსჩანს, თითქოს ყველაფერი ისევეა, როგორც ოდესღაც აშშ-ში, მაგრამ ეს ასე არაა. ხუთი-ათი წლის შემდეგ მსოფლიო ფეხბურთისთვის იაპონია ისეთივე აღმოჩენა გახდება, როგორიც, ვთქვათ, კამერუნი. იაპონელი მოთამაშე ხომ ისეთივეა, როგორც ყველა ადამიანი ამ ქვეყანაში: მათ ძალიან სწრაფად და კარგად შეუძლიათ ყველაფერში წაბაძონ. ახლა მათთვის მთავარია კარგი მწვრთნელების პოვნა. მერწმუნეთ, იაპონია XXI საუკუნის საფეხბურთო ქვეყანაა.



გარი ლინეკერი

გერმანიის ნაკრების ყოფილი მოთამაშე პიერ ლიტბარსკი პირველი გერმანელი პროფესიონალი ფეხბურთელი იყო, რომელიც იაპონიაში გადაბარგდა. მან „კიოლნი" „ჯეფ იუნაიტედზე" გაცვალა. შემდეგ მას თანაგუნდელი ფრენკ ორდენევიცი და ფრანკფურტელი უვე რაანი მიჰყვნენ. სულ ბოლოს კი იაპონიის გზას მიხაელ რუმენიგე დაადგა. იმისთვის, რომ უმცროსი რუმენიგე სწრაფად გაერკვეს სიტუაციაში, რომელიც ამ ქვეყანაში სუფევს, „შპორტ ბილდმა" თხოვნით მიმართა ლიტბარსკის რამოდენიმე რჩევა მიეცა მისთვის. აი, რა ურჩია ლიტბარსკიმ რუმენიგეს:

1. სჯობს შენი მართვის მოწმობა სახლში დატოვო! მანქანის ტარებაზე აქ არც იფიქრო. მოგეხსენება, აქ მარცხენა მხარის მოძრაობაა. სწორედ ამიტომ ორდენევიცი ხუთი კილომეტრის გავლას ერთი საათი უნდება. გუნდის პრეზიდენტმა, რათა ვარჯიშზე დაგვიანება აღარ განმეორებულიყო, მას მანქანის მართვა აუკრძალა. მე თვითონ მეტროთი ვმგზავრობ.

2. არ შეგაშინოს საჭმელმა ჩხირებმა! მე და ფრენკი უკვე დავეუფლეთ ჩხირებით ჭამას. მათი მეშვეობით ზოგი კერძის მირთმევა უფრო იოლია, ვიდრე დანა-ჩანგლით. მაგალითად, იაპონურად მომზადებული შემწვარი ხორცისა, რომელიც ჩვენი უსაყვარლესი საჭმელი გახდა.

3. გირჩევნია სასტუმროში იცხოვრო! მართალია, ფრენკმა პატარა სახლი შეიძინა 300 000 იენად, რაც დაახლოებით 6 000 მარკაა, მაგრამ სასტუმროში ცხოვრებას გირჩევ. აქ დიდებული სასტუმროებია.

4. აუცილებლად უნდა მოხვდე აკიჰაბარაში! ეს კომპიუტერებისა და ელექტროსაქონლის საგამოფენო დარბაზებია. რა საოცრებას არ ნახავ აქ! მაგრამ გაფრთხილებ: ტოკიო საოცრად ძვირი ქალაქია.

5. რაც შეიძლება სწრაფად ისწავლე ენა! მე და ორდენევიცი იაპონური ენის შემსწავლელ კურსებზე დავდივართ. პირველი წინადადება, რომელიც მე ვისწავლე, არის: ვაკახი ვა ლიტი დეს, რაც ნიშნავს: მე ვარ ლიტი. აქ ცოტა ვინმე თუ შეძლებს შენი გვარის გამოთქმას. სიცილით ვიგუდები, როცა ორდენევიცს გვარით მიმართავენ. „ორდენაიქს" — ეს იყო გვარის საუკეთესო წარმოთქმა. საბოლოოდ მას „ოტი" შეარქვეს, მე კი ყველასთვის „ლიტი" ვარ.

უცხოური პრესიდან მოამზადეს
ჯიმშერ ქერჟაძემ და
ერეკლე კიკილაშვილმა



გურამ ვაშაკიძე („დინამო") და ალექსანდრე ფერიაშვილი („თორსი")

# «დინამოს» რომ ეკადრება...

გელა დარსაძე წლების მანძილზე წარმატებით იცავდა „დინამოს" ღირსებას და გაჭირვების ჟამსაც არ მიუტოვებია იგი. მისი გამოცდილება და ოსტატობა კვლავაც დიდად სასარგებლოა გუნდისთვის..

**— ცნობილია, რომ ცოტა ხნის წინ „დინამოს" ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა. რამ გამოიწვია ასეთ ვითარებაში თქვენი გუნდში დარჩენა?**

— მაგ დროს მე ქუთაისში ვიყავი და თბილისში ჩამოსვლის შემდეგ გავიგე ეს ამბავი, მერე, როდესაც „დინამო" ახლიდან შეიქმნა, მე აღარ მქონდა წასვლის სურვილი და დავრჩი გუნდში.

**— რას იტყოდით დღევანდელ „დინამოზე"?**

— გუნდი ახალი შექმნილია, ცალკე ყველა კარგი მოთამაშეა, მაგრამ გვაკლია შე-



გელა დარსაძე

თამაშება, ამის დასტურია „თორსთან" ჩატარებული მატჩიც. თუ ყველაფერი კარგად წავიდა, იმედი მაქვს გუნდი მალე შეთამაშდება და მეორე წრეში ვაჩვენებთ იმ თამაშს, რაც „დინამოს" ეკადრება.

**— წლევანდელ ჩემპიონატში რა მიზანი აქვს გუნდს დასახული?**

— წელს ჩვენი მიზანია სამეულში მოხვედრა, თუ ბედმა გაგვიღიმა შეიძლება სუპერფინალშიც გავიდეთ.

**— თქვენი აზრით, როგორია წლევანდელი ჩემპიონატის დონე?**

— შარშანდელთან შედარებით დონე ამაღლდა. უკვე გამოიკვეთა რამდენიმე გუნდი, რომლებიც კარგად თამაშობენ, დანარჩენები კი მათთან შედარებით თანაბარი სიძლიერის არიან.

**— წინა წლებში მსაჯების მიმართ ბევრი პრეტენზია იყო, რას იტყოდით ახლანდელ მსაჯობაზე?**

— მსაჯობაზე სამდურავი არ მეთქმის, ისინი მსაჯობენ ისე, როგორც შეუძლიათ, არ ჰქონია ადგილი მიკერძოებას რომელიმე გუნდის სასარგებლოდ, ისე კი შეცდომა ყოველთვის მოსულია და ამ მხრივ არც მსაჯები არიან გამონაკლისნი.

სოსო კოჭლამაზაშვილი

# «სწრაფი თამაში მიყვარს»

„თორსის" შემხედვარე კაცს თვალში გეცემა მისი კაპიტნის, დავით თორთლაძის თამაში. თორთლაძე სწრაფი დრიბლიორია, როგორც კი მეტოქის დაცვაში მცირე ღრეჩოს შეამჩნევს, მაისვე გარღვევით ფართან შესვლას ცდილობს. გუნდის შეტევისა და დაცვის მთავარი ხელმძღვანელიც იგია.

**— დათო, რატომ გადახვედი „მერანიდან" (საუბარია შარშანდელ „მერანზე") „თორსში"?**

— ნატვრად მქონდა ძმასთან, ირაკლისთან ერთად თამაში. მნიშვნელოვანი იყო, რომ ახალი გუნდის შექმნაში მხარი აგვიბეს ტალაბაძემ, ფერიაშვილმა, ვასაძემ, თანაც ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტს, ჩემი ინსტიტუტის გუნდში სწავლის ბოლო წელიწადს მაინც უნდა დამეწყო თამაში.

**— ახალი გუნდით კმაყოფილი ხარ?**

— მთავარი ის არის, რომ გუნდში კარგი ატმოსფეროა, დანარჩენი კი ბიჭებზეა დამოკიდებული.

**— ყველაზე უკეთ ვინ გიბამს მხარს?**

— მე და ალექსანდრე ფერიაშვილი მრავალი წელია რაც ერთად ვთამაშობთ. სიტყვის თქმაც არ გვჭირდება, მიმიკით ვუგებთ ერთმანეთს. დანარჩენებთან თამაში ვარჯიშზე უნდა დაიხვეწოს.

**— რომელია შენი საყვარელი ილეთი ან სათამაშო სიტუაცია?**

— მიყვარს სწრაფი თამაში, გარღვევით ფარქვეშ შესვლა.

**— რა არ გიყვარს?**

— არ მიყვარს შეხვედრა მხოლოდ შორიდან სროლებით რომ მიმდინარეობს.

**— „დინამოსთან" თქვენი მატჩი ძალიან საინტერესო იყო. რითი აჯობეთ მეტოქეს?**

— იმ გამარჯვებაში ყველამ თავისი წვლილი შეიტანა, სკამზე რომ ისხდნენ მათაც, მაგრამ მთავარი ფერიაშვილი იყო.

**— „თორსის" საბოლოო მიზანი რა არის?**

— დღეს შედეგზე არ ვფიქრობთ. გუნდი რომ ჩამოყალიბდეს, ნახევარი სეზონი მაინც უნდა გავიდეს. ჩვენ გვინდა ლამაზად ვითამაშოთ და მაყურებელს ვასიამოვნოთ, ადგილებს კი განგება გაანაწილებს.

**— რამდენადაც შევამჩნიე, შენ ფაქტობრივად გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელის ფუნქციასაც ასრულებ. საზღვრავ საჭიროა თუ არა წუთშესვენება, ესა თუ ის შეცვლა...**



დავით თორთლაძე

— მე კაპიტანი ვარ და გუნდის აზრი, რომელიც მოედანზე იქმნება მწვრთნელს მე უნდა გადავცე. ალბათ ეს თუ იგულისხმეთ...

## საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატის პირველი წრე

5 ნოემბერი

**თბილისი — ჯიხვი 97:54**

თბილისი: ხელაშვილი (10), ცაგარეიშვილი, დერიუგინი (23), კოკოლიშვილი (9), ახვლედიანი (10); გურასპაული (8), აბულაშვილი (7), შავლოხაშვილი (15), ქორქია (5), ქარაბაქი (10), ქორფაშვილი.

ჯიხვი: ნაცვლიშვილი (3), ჯალაღონია (2), ბერეკაშვილი (17), მაჩალაძე (15), დევიძე (4); გუგუციძე (3), ხაზარაძე (10), ჩიხრაძე.

„თბილისი" ნელ-ნელა და გულდასმით ზრდიდა ანგარიშს, თუ მე-4 წუთისთვის სხვაობა ორქულიანი იყო, ერთი წუთის შემდეგ იგი ათქულიანი გახდა, ტაიმის ბოლოს კი ტაბლო ფავორიტთა 32 ქულიან უპირატესობას ადასტურებდა...

**თორსი — დინამო 88:84**

დინამო: დარსაძე (14), გ. ვაშაკიძე (8), ი. ვაშაკიძე (17), კილაძე, ცხვედიანი (31); სხიერელი (2), დავითულიანი (2), სამხარაძე, ბაქრაძე (10).

თორსი: დ. თორთლაძე (32), იაშვილი, ფერიაშვილი (25), ხარაძე (8), ტალაბაძე (6); ცაგარეიშვილი (3), ღუდუშაური (14), ი. თორთლაძე

ეს იყო დავით თორთლაძის მატჩი. პირველი ტაიმის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე სტუდენტებმა ათი ქულით გაუსწრეს დინამოელებს, მაგრამ შესვენებაზე მაინც სამქულიანი სხვაობით წავიდნენ. ფერიაშვილმა და მისმა ტანმაღალმა თანაგუნდელებმა ფარქვეშ ბრძოლაში აჯობეს მეტოქეს. მეორე ტაიმის დასაწყისი თითქოს ისევ „თორსისა" იყო, მაგრამ „დინამომაც" იმძლავრა და ბოლო მონაკვეთმა დარბაზის ყვირილისა და აქეთ-იქით ქომაგობის აკომპონემენტსა, ქულა-ქულაზე ბრძოლაში ჩაიარა. ფინალამდე სამი წუთით ადრე „დინამო" ხუთ ქულას იგებდა, მაგრამ თორთლაძის შეჩერება ველარ შესძლო და დამარცხდა.

6 ნოემბერი

**დინამო — ჯიხვი 97:73**

დინამო: ცხვედიანი (42), ი. ვაშაკიძე (4), დავითულიანი (10), დარსაძე (6), კილაძე (6); მაისურაძე, გ. ვაშაკიძე (19), სხიერელი, სამხარაძე (2), ბაქრაძე (8).

ჯიხვი: ხუჯაძე, დევიძე, ბერეკაშვილი (14), ჯალაღონია (3), მაჩალაძე (22); ნაცვლიშვილი (13), გუგუციძე (10), ჩიხრაძე (3), ხაზარაძე (8).

აღსანიშნავი არაფერი მომხდარა.

**თორსი — აზოტი 79:82**

თორსი: დ. თორთლაძე (26), ფერიაშვილი (37), იაშვილი, ტალაბაძე (4), ხარაძე (2); ღუდუშაური (4), ცაგარეიშვილი (3), ი. თორთლაძე (2).

აზოტი: აბზიანიძე (26), გაბისონია (5), ბერუაშვილი (14), კეჟაყმაძე (14), მიქიაშვილი (15); ქობულაძე (2), კიკვიძე (3), აბაშიძე (3).

პირველ ტაიმში „აზოტი" სულ 4-5-6 ქულით იყო წინ, შესვენებაზე კი 9 ქულიანი უპირატესობით წავიდა. დამთავრებამდე 11 წუთით ადრე „თორსი" დაწინაურდა 6 ქულით. მათ სამ წუთში თორმეტი ქულა მოიპოვეს, რუსთაველებმა კი ვერცერთი. „აზოტმა" ყურები არ ჩამოყარა და 4 წუთით ადრე ანგარიში 73:73 გახადა. ყველაფერი ბოლო წამებში გაირკვა. „თორსის" მოთამაშეები მსაჯობით უკმაყოფილონი დარჩნენ

7 ნოემბერი

**აზოტი — ჯიხვი 85:71**

აზოტი: აბზიანიძე (2), გაბისონია, ბერუაშვილი (7), კეჟაყმაძე (9), მიქიაშვილი (25); ქობულაძე (8), კიკვიძე (9), აბაშიძე (9), კოჭლამაზაშვილი (16).

ჯიხვი: გუმბერიძე (14), ხუჯაძე (10), ბერეკაშვილი (6), ჯალაღონია (10), მაჩალაძე (4); ნაცვლიშვილი (22), დევიძე (5).

მატჩი დაძაბული გამოდგა, რუსთაველებმა ზედიზედ მეორე მატჩი მოიგეს.



პაატა გურასპაული

# «სხვა გუნდში ვერ ვიქნებოდი»

კალათბურთის მოყვარულებს პაატა გურასპაული საბჭოეთისდროინდელი „დინამოდან" ახსოვთ. ახლა იგი „თბილისის" ერთ-ერთი წამყვანი კალათბურთელია.

**— რატომ თამაშობ მაინცდამაინც „თბილისში"?**

— სხვა გუნდში ვერ ვიქნებოდი. „დინამოდან" წასვლის შემდეგ ცხრა წელიწადია ამ გუნდში ვთამაშობ. ეგ იყო, ერთი სეზონი მე და ნოდარ ქორქიამ პოლონეთში, პოზნანის „ლეხში" გავატარეთ, სადაც ქვეყნის ჩემპიონები გავხდით. „თბილისს" ჯერ „სინათლე" ერქვა, შემდეგ „მერანი". აქ ჩემი მეგობრები არიან თავმოყრილი.

**— თქვენი გუნდის ძალაზე რას იტყვი?**

— ჯერ ისეთი არაფერი გაგვიკეთებია, ქება რომ დავიმსახუროთ. შარშან გუნდი ჩამოყალიბებული არ იყო, ცენტრი არ გვყავდა. დღეს ნიკოლოზ დერიუგინი გვყავს. შემოგვიერთდნენ სანაძე და ცაგარეიშვილი, გუნდმა სახე მიიღო. მისი თორმეტივე წევრი ნამდვილი კალათბურთელია.

**— პოლონეთის, ყოფილი სსრკ-ის და დღევანდელი საქართველოს პირველობებს შორის როგორ პარალელს გაავლებდი?**

— პოლონეთის ჩემპიონატში „თბილისი" და „ვითა" ხუთეულში შევიდოდნენ (აქ არ იგულისხმება, რომ მაინცდამაინც მეოთხე და მეხუთე ადგილებზე იქნებოდნენ), თუმცა პოლონელებს ამ სიძლიერის უფრო მეტი გუნდი ჰყავთ. სსრკ-ს ჩემპიონატი კი საქართველოსაზე იმდენად ძლიერი იყო, რომ შედარებაც არ შეიძლება. თუ გვინდა ჩვენს კალათბურთს ეშველოს, მონაწილეობა უნდა მივიღოთ ეროვნებათაშორის ლიგის შეჯიბრებაში, რომელშიც ყოფილი კავშირის გუნდები თამაშობენ.

**— საქართველოს პირველობაში, პირადი ოპონენტებიდან რომელთან გამოვდის საინტერესო პაექრობა?**

— მიშა კობეშავიძის („ვითა") წინააღმდეგ თამაშია საინტერესო. იგი ჩემთვის ერთგვარად უხერხული მეტოქეა.

**— ბევრი შიშობს, რომ თანდათან ჩემპიონატში დაძაბული მატჩების მატების კვალობაზე იმატებს აყალმაყალიც...**

— მსაჯები გარანტირებულნი უნდა იყვნენ, რომ დაცული იქნებიან. მათ იმდენი ანაზღაურება უნდა ჰქონდეთ, რომ შემდეგ მოსთხოვო კიდეც გასამრჯელოს შესაბამისი მსაჯობა. შეხედოს ყველა მსაჯმა ავალიშვილს და ისწავლოს...

# «უკბილო თამაში მღლის»

(დასაწყისი პირველ გვერდზე)

დონ. ესეც სიმბოლურია. მაგალითად რუმინეთში, სადაც კალათბურთი დიდად განვითარებული არ არის, ერთი მატჩის გასამრჯელო 100 დოლარია. გუნდების უმრავლესობა თანახმაა ეს ფული რომ გაიღოს. რამენაირად უნდა დავაინტერესოთ ახალგაზრდები, ჩამოვაყალიბოთ მსაჯთა სკოლა, სადაც 7-10 დღეში ერთხელ სემინარები უნდა გაიმართოს. მე ხუთ საერთაშორისო სემინარზე ვყოფილვარ, რომელთა მასალები, თეორიული ნაწილი, ფიზიკური მომზადების ტესტები და სხვა, ხელთ მაქვს, მაგრამ კიდევ ვიმეორებ, მსაჯობა მძიმე შრომაა და მას უფასოდ არავინ გასწევს.

**— ძნელია საქართველოს პირველობაზე სჯა?**

— რა თქმა უნდა. მიზეზი უკვე ვთქვი: განუკითხაობამ დარბაზშიც შემოაღწია. შარშან მაინც ვახერხებდით ვნებათაღელვის შეჩერებას, წლეულს კი დარწმუნებული ვარ, უფრო დაძაბული მატჩები იქნება.

**— რომელია ყველაზე წესიერი გუნდი?**

— მთლიანად უდისციპლინო გუნდი არ არის. ვერც მწვრთნელებს დავწამებ, რომ ძალად ხელს გვიშლიდნენ. წერიგს ცალკეული მოთამაშეები არღვევენ.

**— სანქციები?**

— გასულ სეზონში ორ ტექნიკურ ჯარიმაზე მომდევნო თამაშს ვატოვებინებდით. ამ წესმა (იგი ფეხბურთის ორ ყვითელ ბარათს ჰგავდა) არ გაამართლა და გავაუქმეთ. წლეულს, გაძევებული მოთამაშე მინიმუმ ხუთ შეხვედრას გამოსტოვებს. არის ფულადი ჯარიმებიც.

**— სხვა მხრივ, ალბათ ჩვენი მატჩების გაძღოლა უფრო იოლია, ვიდრე საერთაშორისოსი.**

— არ არის იოლი. იტალიაში, საბერძნეთში, ესპანეთში, საფრანგეთში ისევე ვიტვირთები, როგორც აქ. ჩვენთან მათებური ოსტატობა არ არის, მაგრამ სიმწვავის მხრივ აქაც იგივეა. ჩვენს კალათბურთს დაძაბულობაც რომ გამოაკლდეს აღარაფერი დარჩება. მე, როგორც მსაჯს, არ მჭირდება უკბილო თამაში, რომელიც დამღლის.

**— ჩვენი კალათბურთელების ოსტატობაზე მინდოდა მეკითხა...**

— ამ ბოლო ხანს, იმედი გამიჩნდა. აუცილებელია ევროთასებზე გასვლა. ფიბა აშკარად არ იტყვის, მაგრამ დარწმუნებული ვარ დიდად არ ეხატება გულზე ჩვენთან ურთიერთობა. ჩემს მაგალითს მოვიყვან. სექტემბერში ევროთასებზე ორი თამაში უნდა მემსაჯა. ჩემი ამ მატჩებზე დანიშვნის საბუთი რომ აღარ მოვიდა, თავად დავრეკე. სათითაოდ ჩამომათვლევინეს თბილისიდან ევროპისკენ მიმავალი რეისები, საგარანტიო წერილი გამაგზავნინეს. მსაჯი ერთია და გუნდი... ურჩევნიათ ყოველმხრივ აწყობილ მეზობელ ქვეყნებთან ჰქონდეთ საქმე. ამ იზოლაციის გარღვევა აუცილებელია.

ილია ბაბუნაშვილი

# ჩემპიონატი ახალი სისტემით გაგრძელდება

პარასკევს გაიმართა კალათბურთის ფედერაციის, საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდების მწვრთნელთა და მსაჯთა სხდომა, სადაც ჟურნალისტები არ დაუშვეს. უნდა განეხილათ ჩემპიონატის სისტემის შეცვლის საკითხი. როგორც ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა როლანდ ხომერიკმა გვითხრა, გადაწყდა, რომ პირველობა ახალი სისტემით გაგრძელდება. კერძოდ, ორი წრის შემდეგ გამოვლენილი ექვსი მოწინავე გუნდი კიდევ ორ წრედ ითამაშებს, რის შემდეგაც ძლიერი ოთხეულის გუნდები ნახევარფინალში შეხვდებიან ერთმანეთს, პირველი — მეოთხეს, მეორე — მესამეს. შეხვედრები სამ მოგებამდე გაგრძელდება. გამოვლინდებიან სუპერფინალისტები და მესამე ადგილისთვის მებრძოლი გუნდები. აქაც სამ მოგებამდე ითამაშებენ, ისევე როგორც მეხუთე-მეექვსე ადგილის მაძიებელნი. ექვსეულს მიღმა დარჩენილი ოთხეული კი ორ წრედ ითამაშებს და ადგილებს პლეი-ოფის გარეშე გაინაწილებს.

# ტოტოლოტო

## საფეხბურთო პროგნოზი

ტირაჟი № 35 12-17 ნოემბერი

| | | შარშან | პროგნოზი | |
|---|---|---|---|---|
| | გერმანიის ჩემპიონატი | | | |
| 1 | კიოლნი — მიონხენგლადბახი | 1:2, 2:1 | 4 4 2 | 1 X |
| 2 | დუისბურგი — შალკე | — | 5 3 2 | 1 X |
| 3 | შტუტგარტი — ლევერკუზენი | 0:3, 0:4 | 4 3 3 | 1 X 2 |
| 4 | ჰამბურგი — აინტრახტი | 1:2, 3:3 | 3 5 2 | 1 X |
| 5 | ბაიერნი — კარლსრუე | 3:3, 2:4 | 7 2 1 | 1 |
| | მსოფლიოს ჩემპიონატი | I წრე | | |
| 6 | ჩრდ. ირლანდია — ირლანდია | 0:3 | 2 4 4 | X 2 |
| 7 | საფრანგეთი — ბულგარეთი | 0:2 | 6 2 2 | 1 |
| 8 | ესპანეთი — დანია | 0:1 | 5 3 2 | 1 X |
| 9 | იტალია — პორტუგალია | 3:1 | 7 2 1 | 1 |
| 10 | პოლონეთი — ჰოლანდია | 2:2 | 3 3 4 | 1 X 2 |
| 11 | საბერძნეთი — რუსეთი | 1:1 | 4 4 2 | 1 X |

№ 33 ტირაჟშიც ჯეკ-პოტი ალინიშნა
№ 24-№ 34 ტირაჟებში სულ შემოსულია 299 250 კუპონი

შევსებული ბილეთების ჩაბარების ბოლო ვადა: თბილისში — ყოველი კვირის ხუთშაბათი, 16 საათამდე, ცენტრალური ტელეგრაფის შენობაში.
ცნობებისთვის დარეკეთ: 96-32-61

# სარბიელი

# ტოტალიზატორი "CROCO"

თამაშის წესები:

თამაშში მონაწილე პირის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონი გაკეთებულია ერთდროულად რამდენიმე მატჩის შედეგის გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და შესაბამისად მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც. ამ შემთხვევაში მოგების კოეფიციენტია — 4,0.

ფსონის მინიმალური თანხაა 1000 კუპონი. ფსონების ვარიანტების რაოდენობა და დადებული თანხის სიდიდე არ არის შეზღუდული.

მოგებები გაიცემა ქვითარში აღნიშნული ბოლო მატჩის დღიდან ერთი კვირის განმავლობაში.

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს ეროვნული სტადიონის მეხუთე სალაროში 13-დან 16 საათამდე.

დაწვრილებით წესებს შეგიძლიათ გაეცნოთ ეროვნული სტადიონის V სალაროში.

### უახლოესი ფსონები მიიღება შემდეგ თამაშებზე:

| | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 10 ნოემბერი | თურქეთი — ნორვეგია | 3,0 | 2,1 | 1,7 |
| | ავსტრია — შვედეთი | 2,2 | 2,0 | 2,4 |
| | ისრაელი — ფინეთი | 1,2 | 2,3 | 6,2 |
| | ოსერი — ბორდო | 1,6 | 2,1 | 3,2 |
| | კანი — მონაკო | 2,0 | 2,1 | 2,4 |
| | ვალენსია — რეალ მადრიდი | 2,5 | 2,0 | 2,0 |
| | რაიო ვალეკანო—რეალ-სოსიედადი | 2,5 | 2,0 | 2,0 |
| | ტენერიფე — ბარსელონა | 3,4 | 1,2 | 3,4 |
| | ატლეტიკი — დეპორტივო | 2,1 | 1,8 | 2,9 |
| 12 ნოემბერი | დორტმუნდი — კაიზერსლაუტერნი | 1,5 | 2,0 | 4,4 |
| | დუისბურგი — შალკე | 1,2 | 2,4 | 5,3 |
| | ვერდერი — დრეზდენი | 1,1 | 2,5 | 8,3 |
| 13 ნოემბერი | კიოლნი — მიონხენგლადბახი | 1,3 | 2,2 | 5,0 |
| | შტუტგარტი — ლევერკუზენი | 1.8 | 2,0 | 3,0 |
| | ჰამბურგი — აინტრახტი | 2,0 | 2,0 | 2,5 |
| | ბაიერნი — კარლსრუე | 1,2 | 2,4 | 5,3 |
| | ვატენშაიდი — ნიურნბერგი | 1,6 | 2,2 | 3,2 |
| 14 ნოემბერი | ლაიპციგი — ფრაიბურგი | 1,6 | 2,2 | 3,2 |

### წინა ტურის შედეგები:

5-7 ნოემბერი: მიონხენგლადბახი — ჰამბურგი 2:2, კაიზერსლაუტერნი — ვატენშაიდი 4:1, კიოლნი — ვერდერი 2:0, კარლსრუე — დუისბურგი 5:0, ნიურნბერგი — ბაიერნი 2:0, დრეზდენი — ლევერკუზენი 1:1, აინტრახტი — დორტმუნდი 2:0, მონაკო — პსჟ 1:1, ქუინზ პარკი — ბლექბერნი 1:0, მანჩესტერ სიტი — მანჩესტერ იუნ. ?, არსენალი — ასტონ ვილა 1:2, სელტა — ბილბაო 1:1, ხიხონი — ვალენსია 2:0, სარაგოსა — ატლეტიკო 2:1, კრემონეზე — ლეჩე 2:1, ინტერი — მილანი 1:2, ნაპოლი — ლაციო 1:2, პარმა — იუვენტუსი 2:0, სამპდორია — კალიარი 1:2, ტორინო — რეჯანა 2:0, უდინეზე — ჯენოა 0:4

## შედეგთა დაფა

### რაგბი

ავსტრალიის „ვოლაბების" ტურნე საფრანგეთში

VII თამაში, მეორე ტესტი. (შაბ), 6.XI. პარიზი, „პარკ დე პრენსი"
საფრანგეთი 3 (3) ავსტრალია 24 (13)
საფრანგეთი — ს: №12 ლაკრუა (3:13). ავსტრალია — 2ლ: №15 რობაქი (0:11), №8 გევინი (3:24); გ: რობაქი (0:13); 4ს: რობაქი (0:3, 0:6, 3:16, 3:19). მსაჯი დ. ბიშოფი (ახალი ზელანდია). ბოლო, VIII თამაშში, ხუთშაბათს, „ვოლაბები" ეთამაშებიან „ფრანგ ბარბაროსებს"

სამხრეთი აფრიკის „ქურციკების" ტურნე არგენტინაში

IV თამაში, პირველი ტესტი. (შაბ), 6.XI. ბუენოს-აირესი
არგენტინა 26 (10) სამხრეთი აფრიკა 29 (29) (4ლ). „ქურციკმა" ჯეიმზ სმოლმა (№14) 2ლ გაიტანა. მეორე ტესტი ამ შაბათს გაიმართება

ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსის" ტურნე ბრიტანეთში

V თამაში. (კვი). 7.XI. ინგლისი „ა" 12 ახალი ზელანდია 26 (2ლ: თიმუ, ვილსონი; 2გ, 3ს: კუპერი...)

### ლიგის რაგბი

ახალი ზელანდიის „კივის" ტურნე ბრიტანეთში

XI თამაში, მესამე ტესტი. (შაბ), 6.XI. ლიდზი, „ჰედინგლი". 15 ათასი დამსწრე. დიდი ბრიტანეთი 29 (12) ახალი ზელანდია 10. „ლომები" — 5ლ: ფეარბენკი, კლარკი, ჯ. დევისი, ოფაიერი, ფარელი; 4 გოლი და ა: ჯ. დევისი. „კივი" — ლ: ვილიამზი; 3 გოლი: ბოტიკა. ტურნეს შედეგი: 11 თამაში, 6 მოგება, 5 წაგება; ტესტ-სერია 0-3 (0:17, 12:29, 10:29)

### ჩოგბურთი

1-7.XI

პარიზის ღია ჩემპიონატი. „ბერსის" დარბაზი. საპრიზო ფონდი 2 მლნ დოლარი. მეოთხედფინალი. გორან ივანიშევიჩი (ხორვატია, 9) — პიტ სამპრასი (აშშ, 1) 7:6, 7:5; სტეფან ედბერგი (შვედეთი, 6) — მიხაელ შტიხი (გერმანია, 4) 6:2, 7:5, 6:2; ანდრეი მედვედევი (უკრაინა, 8) — მარკ ვუდფორდი (ავსტრალია) 4:6, 7:5, 6:4; არნო ბეში (საფრანგეთი) — ბორის ბეკერი (გერმანია, შარშანდელი ჩემპიონი, 3) 6:3, 7:6. ნახევარფინალი. ივანიშევიჩი — ედბერგი 2-1; მედვედევი — ბეში 2:6, 7:6, 7:5. ფინალი. ივანიშევიჩი — მედვედევი 6:4, 6:2, 7:6. გამარჯვებულმა 27 „ეისი" მოაგროვა!

ქალთა შეჯიბრება. ოკლენდი (კალიფორნია). „კოლიზეუმი". საპრიზო ფონდი — 375 ათასი დოლარი. ფინალი. მარტინა ნავრატილოვა (აშშ, 1)— ზინა გარისონ-ჯექსონი (აშშ, 3) 6:2, 7:6

ქალთა შეჯიბრება „ბელ ჩელენჯ". კვებეკი (კანადა). საპრიზო ფონდი — 200 ათასი დოლარი. ნახევარფინალი. ნატალი ტოზიამ (საფრანგეთი, 3) მოუგო ჰელენ კელესის (კანადა),. კატარინა მალეევამ (ბულგარეთი, 4) — პატრიცია ჰაის (კანადა). ფინალი. ტოზია — მალეევა 6:4, 6:1. ჰელენა სუკოვა (ჩეხეთი, 1) II წრეში დამარცხდა ჰაისთან 4:6, 7:5, 5:7

### სინქრონული ცურვა

საქართველოს ჩემპიონატი. უმცროსი ასაკი. სოლო. 1. ნინო გაბელაია — 105,6, 2. კრისტინა მანი — 94,28, 3. ალიონა ლორთქიფანიძე — 90,76. უფროსი ასაკი. სოლო. 1. ალიონა კულიბერდა — 170,08, 2. ტატიანა პლოტნიკოვა — 167,28, 3. ხათუნა გოცირიძე — 165,24. დუეტი. 1. გოცირიძე — კულიბერდა — 167,10, 2. ნატალია გრიშინა — ქეთინო ლაკია — 156,28. ანსამბლი. 1. გრიშინა, გოცირიძე, ნანა ბართაია, კულიბერდა, ლაკია, პლოტნიკოვა — 161,34

### კალათბურთი

ევროპის საკლუბო ჩემპიონატი. A ნახევარფინალური ჯგუფი. I ტური: კინგზ გილფორდი (ინგლისი) — მეხელენი (ბელგია) 71:97, ლევერკუზენი (გერმანია) — პირეოსი (საბერძნეთი) 53:70, ბარსელონა (ესპანეთი) — ლიმოჟი (საფრანგეთი) 86:76, რეალი (ესპანეთი) — ტრევიზო (იტალია) 85:76. II ტური: ტრევიზო — ბარსელონა 93:82, ლიმოჟი — ლევერკუზენი 71:54, მეხელენი — რეალი 78:77, პირეოსი — კინგზ გილფორდი 96:51. B ნახევარფინალური ჯგუფი. I ტური: ეფეს პილსენი (თურქეთი) — პო ორტეზი (საფრანგეთი) 81:74, კანტუ (იტალია) — ხუვენტუდი (ესპანეთი) 87:95, პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — ბენფიკა (პორტუგალია) 83:73, ბოლონია (იტალია) — ციბონა (ხორვატია) 114:86. II ტური: ციბონა — პანათინაიკოსი 74:80, ბენფიკა — ეფეს პილსენი 61:77, ხუვენტუდი — ბოლონია 80:66, პო ორტეზი—კანტუ 115:82

პარასკევს ამერიკაში დაიწყო NBA-ს ჩემპიონატი. პირველი დღის შედეგები: ბოსტონ სელტიკს—ნიუ-იორკ ნიქს 108:111, ფილადელფია 76—ვაშინგტონ ბულიტს 94:82, მაიამი ჰიტ—ორლანდო მეჯიკ 96:116, შარლოტ ჰორნეტს—ჩიკაგო ბულზ 123:124 (დ.დ.), ატლანტა ჰოუქს—ინდიანა პეისერს 116:110, კლივლენდ კავალიერს—მილუოკი ბაქს 91:94, დეტროიტ პისტონს — მინესოტა ტიმბერვულფს 104:99, ჰიუსტონ როკეტს—ნიუ-ჯერსი ნეტს 110:88, სან ანტონიო სფარზ—გოლდენ სტეიტ ვორიორს 91:85, იუტა ჯაზ—დალას მავერიკს 102:86, ლოს-ანჯელეს კლიპერს—პორტლენდ თრეილ ბლეიზერს 97:95, ლოს-ანჯელეს ლეიკერს—ფინიქს სანზ 116:108, საკრამენტო კინგზ—დენვერ ნაგეტს 109:100.

## სინქრონული ცურვა

# ძველებურად გაგვახარებენ...

ძნელია დღეს კაცს სპორტში ვარჯიში და მით უმეტეს დიდი წარმატებები მოსთხოვო. ძნელია, რადგან ნახევრადმშიერს არც ძალა და ენერგია ყოფნის და არც ხალისი. ან რა ხალისი ექნება, როცა ჩვენი დუხჭირი ცხოვრების გამო სარბიელზე მისულს გაყინული დარბაზი, უწყლო აუზი თუ უშხაპო მოედანი დახვდება, შეჯიბრებაზე გამოსულს კი ცარიელი ტრიბუნები. ამიტომაც ბევრმა მწვრთნელმა თუ სპორტსმენმა გული აიცრუა და გუდა-ნაბადი აიკრა — ერთნი ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში გადაბარგდნენ, მეორენი უფრო შორსაც წავიდნენ, მესამენი სხვა საქმეს მოეკიდნენ, ხოლო ნაწილი ენთუზიაზმის ამარა ჯიუტად ვარჯიშობს ან სხვებს ავარჯიშებს და ჯერჯერობით წარმატებებსაც აღწევს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ენთუზიაზმის იმედად დიდხანს ვერ იქნები.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ სინქრონულ ცურვაში?

ამ კითხვაზე პასუხი უნდა გაეცა საქართველოს ჩემპიონატს, რომელიც თბილისში, „ვერეს" საწყლოსნო სპორტულ კომპლექსში ორ ასაკობრივ ჯგუფად გაიმართა.

საქართველოს ჩემპიონატი გაიმართაო, ვამბობთ, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი თბილისის პირველობა გამოდგა, რადგან ასპარეზობაში მხოლოდ თბილისელები ჩაებნენ. ისე, კაცმა რომ თქვას, სხვათა ჩამოსვლას არც ჩვენ ველოდით და არც ჩემპიონატის ორგანიზატორ-მასპინძლები.

საქართველოს სხვა ქალაქების აუზებში, სადაც სპორტის ეს სახეობა იყო დანერგილი, წყალი არსად თბება, ასეთ პირობებში კი მათთან სინქრონიული ცურვა დავიწყებას ეძლევა. განსაკუთრებით საწყენია, რომ ასეთ მდგომარეობას ვერც ქუთაისი გადაურჩა, არადა ამ ქალაქში აღიზარდა და იზრდებოდნენ კიდეც ნიჭიერი სინქრონული ცურვის ოსტატები, რომლებმაც საქართველოს ჩემპიონის ტიტულებიც მოიპოვეს და თავის დროზე საკავშირო ნაკრებშიც დაიმკვიდრეს ადგილი.

ერთი სიტყვით, სინქრონული ცურვა დღესდღეობით თბილისელთა იმედად დარჩენილა, მაგრამ ცუდი დროება მათაც დატყობიათ. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ სარბიელზე ორივე ასაკობრივ ჯგუფში რვა-რვა სპორტსმენი გამოვიდა, მაშინ როცა ჯერ კიდევ ორი-სამი წლის წინათ ერთ ასაკობრივ ჯგუფში გამარჯვებისთვის ორი ამდენი იბრძოდა.

ისიც ძალზე სამწუხარო და შემაშფოთებელია, რომ უმცროს ასაკობრივ ჯგუფში პრიზიორები მხოლოდ ერთეულთა თანრიგში გამოვლინდნენ. უფროსი ასაკის წყვილთა პაექრობის საპატიო კვარცხლბეკზე ორი წყვილი ავიდა, იმ „უბრალო" მიზეზის გამო, რომ გამარჯვებისთვის მხოლოდ ისინი იბრძოდნენ, ხოლო ჯგუფურ ვარჯიშში სარბიელზე ერთადერთი გუნდი ვიხილეთ.

როგორც საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა აზა ჯაფაროვამ გვითხრა, დღეს რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების მონაწილეობით გაიმართოს პირველობა, ჩვენს გუნდს მსგავსი წარმატებების მოპოვება ფრიად გაუჭირდება და ალბათ, გუნდურ პირველობაში მეხუთე ადგილისთვის თუ იბრძოლებს, თუმცა ზოგიერთ ცალკეულ სახეობაში მათ საპრიზო ადგილის მოპოვების იმედი უნდა ჰქონდეთ. უფროს მწვრთნელს ამისი თქმის საფუძველს ისიც აძლევს, რომ გასულ ზამთარს პეტერბურგში გამართულ ასპარეზობაზე „თეთრი ღამეები", რომელშიც 1979 წელსა და შემდეგ დაბადებული სპორტსმენები გამოდიოდნენ, ჩვენმა გოგონებმა მესამე ადგილი მოიპოვეს, ხოლო იმავე ქალაქში ჩატარებულ უფროსთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე „მირ ჟენშჩინ", რომელიც „სოვეტსკაია ჟენშჩინას" მემკვიდრედ გვევლინება, ჩვენებმა ერთეულთა პაექრობაში მეოთხე, ხოლო წყვილთა ასპარეზობაში მეხუთე ადგილი დაიკავეს (ამ ტურნირში რვა გუნდის წარმომადგენელი, მათ შორის იტალიის, გერმანიის, რუსეთის, ბელორუსიისა და ყაზახეთის სპორტსმენებიც გამოდიოდნენ). ეს ყველაფერი გვაიმედებს, რომ ჩვენს სპორტსმენებს და მათ მწვრთნელებს თუ პირობები ექნებათ, ძველი ავტორიტეტის დაბრუნება და განმტკიცებაც ძალუძთ. პირობები კი არასახარბიელოა: დღესდღეობით ვარჯიში მხოლოდ თბილისში და ისიც მხოლოდ „ვერეს" აუზში შეიძლება.

აზა ჯაფაროვა დიდად ემადლიერება ფირმა „ალმაშენებელს", მის ხელმძღვანელებს გურამ ნონიკაშვილსა და ედუარდ შახსუვევს, რომლებმაც პეტერბურგში ჩვენი გუნდის ის ორი გამოსვლა დააფინანსეს, აგრეთვე თბილისის მანქანათმშენებელი ქარხანა „მეგობრობის" დირექტორ კარლო ლოლაძესა და „ვერეს" საწყლოსნო-სპორტული კომპლექსის დირექციას (დირექტორი ვლადიმერ გოიაშვილი), რომლებიც ჩვენს გუნდს შეძლებისდაგვარად ეხმარებიან, მაგრამ ეს ყველაფერი ცოტაა, ცოტაა თუნდაც იმიტომ, რომ როგორც აღვნიშნეთ, ერთი წლის განმავლობაში საქართველოს ნაკრებმა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სასპარეზოდ გასვლა მხოლოდ ორჯერ შესძლო. არადა, სპორტის ამ სახეობისადმი ინტერესი ჩვენს გოგონებსა და მათ მშობლებს შორის ჯერ კიდევ დიდია. ისიც ძალზე დამაიმედებელია, რომ ჩვენი სინქრონული ცურვის რიგებს „ექსპორტი" ჯერჯერობით არ შეხებია. ასე, რომ, თუ ხელშეწყობა იქნა, ჩვენი გოგონები ძველებურად დიდ სიხარულს მოგვანიჭებენ.

**ავთანდილ გურასაშვილი**

შედეგები იხილეთ დაფაზე

## საჯილდაო

? ცხრა კვირის განმავლობაში ცხრა-ცხრა შეკითხვა სპორტის ცხრა სახეობის შესახებ ?

ბოლო, მეცხრე წრე

ვინც ამ კითხვებსაც უპასუხებს, თავი „სარბიელის კარუზოდ" შეუძლია შერაცხოს!

(1) რომელ მთამსვლელებს დაუპყრიათ ყველა (რამდენი?) რვაათასიანი მწვერვალი? სადაურები ყოფილან?
(2) ვინ (სახელი, გვარი, წოდება, სადაურობა) გახდა სსრკ-ის ბოლო ჩემპიონი ჭადრაკში ვაჟთა შორის? სად და როდის? რით აჯობა უახლოეს მდევარს? ვის?
(3) ავსტრალიაში მოქმედი კარანტინის მიუხედავად 1956 წლის მელბურნის ოლიმპიადაზე როგორ მოხერხდა ხუთჭიდელთა შეჯიბრების გამართვა, თუკი მასში ცხენოსნობაც შედიოდა?
(4) ვინ იყო თბილისის პირველი ჩემპიონი სპორტულ პრეფერანსში? ბანქოს გარდა, ისა და მისი ძმა (რა ჰქვია?) კიდევ რომელ სპორტს მისდევენ? ძმას რისთვის მიუღწევია?
(5) ყოფილ საბჭოეთს გარეთ რომელი საფეხბურთო „დინამოები" გაგიგიათ?
(6) როდის დაშალეს თბილისის „ლოკომოტივის" რაგბის გუნდი? ბოლოს ვის ეთამაშნენ? რა დაბრალდათ? ცილი ვინ დასწამათ? ვინ და როგორ დასაჯეს? ვისი დაჟინებითა და მონაწილეობით? რა ბედი ეწიათ დასჯილებს? „ლოკომოტივის" კვლავ რომელი გუნდი ჩამოყალიბდა? დღეს რა ჰქვია ამ გუნდს?
(7) რომელი ოლიმპიადები ჩაშლილა მსოფლიო ომების გამო? როდის? სად უნდა გამართულიყვნენ? ხელმოცარული მასპინძლებიდან რომელს ველარ ღირსებია თამაშების გამართვა?
(8) რომელი ქვეყნები მიიჩნევიან კრიკეტში ტესტის მთამაშებლებად? ბოლოს ვის მიენიჭა ეს სტატუსი?
(9) კალათბურთში მოთამაშის დაჯარიმებისას მსაჯი მდივანს დამრღვევს მიანიშნებს, ეს კი ხელის აწევით დარღვევას სცნობს, მერე, ... ბოლოს კი მეტოქე ბურთს კიდიდან შემოაგდებს ან საჯარიმოს ტყორცნის. პროცედურის რომელი არსებითი მომენტი გამოგვრჩა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფირას ჩემპიონატი

# კატასტროფაა?!

კარა, 31.X. „სტად სპორტივ", სესანჟი, ლუქსემბურგი. ფირა-ს 1993-94 წლების პირველობის C1 ჯგუფის მატჩი

ლუქსემბურგი 10 (3) საქართველო 10 (3)

ლუქსემბურგი: კავილია; ბრაუნი, ჟილი, გიეტო, კოუპი; პოლი, ვაითმენი; ვერონი, დევინდტი, ემერინგი; ფილიპსი, ედვარდზი, გურლეი, შირერი; პილი. — ს (3:0), ლ (8:3), გ (10:3)

საქართველო: ჩავლეიშვილი; ტყაბლაძე, კალანია, მარჯანიშვილი, ძნელაძე; იოვაძე, ხუციშვილი; მაჭუტაძე (ჯაფარაშვილი), ჩიქავა, ბაბუნაშვილი; ობოლაძე, შავანგირაძე, ხუადე, ფხაკაძე; გ. გიუნაშვილი. — ს (3:3), ლ 10:8), გ (10:10)

მსაჯი ჟაკ პეკლარი (შვეიცარია)

ჩვენმა გუნდმა შინ შაბათს, 6 ნოემბერსღა ჩამოაღწია და გაირკვა, რომ ლუქსემბურგთან თამაში, თითქოს „სარბიელის" წინასწარმეტყველების ჯინაზე, ჩვენს სასარგებლოდ კი არ დამთავრებულა, ძალიან დიდი ანგარიშით, არამედ ქართველებს ოდენ ფრესთვის მიუღწევიათ.

ქართული რაგბის სამყაროს პირველი რეაქცია უთუოდ სასტიკი იმედგაცრუება იქნებოდა, მაგრამ თუ ემოციებს დავიოკებთ და მოვლენებს გულდადინჯებით მოვავლებთ თვალს, შევნიშნავთ, რომ ამ ბოლო დროს ქართველები ყველგან და ყველაფერში ვმარცხდებით, და რაგბი, აბა, გამონაკლისი როგორ იქნებოდა.

როგორც დავადგინეთ, ლუქსემბურგულ რაგბს თურმე ოდენ ენთუზიაზმით უდგას სული. ამ ციცქნა ქვეყანაში თამაში 1975 წელს დაუწყიათ, ერთი წლის შემდეგ ფირა-ში შესულან, 1991 წელს კი — ირბ-ში. ეროვნულ ნაკრებს 1975 წლიდან მოყოლებული ჩვენებთან შეხვედრამდე 15 თამაში გაუმართავს ევროპული რაგბის მაჩანჩალებთან — შვეიცარიასთან, ბელგიასთან, ანდორასთან, ბულგარეთთან, იუგოსლავიასთან, გდრ-თან, დანიასთან და ორი შემთხვევის გარდა, ყოველთვის დამარცხებულა.

საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ ლუქსემბურგელებმა ათამაშეს ის ინგლისელები, ირლანდიელები, ახალზელანდიელები, ავსტრალიელები და ფრანგები, რომლებიც მათ ქვეყანაში მუშაობენ. ეს ხალხი და მკვიდრი ლუქსემბურგელებიც რაგბს გასართობად თამაშობენ და კვარცხის გარდა, ყველაფერს თავისი ხარჯით იძენენ; სათამაშოდაც თავიანთი ფულით დადიან.

ლუქსემბურგელებმა ჩვენებს ღირსეულად, ოღონდ მომჭირნედ უმასპინძლეს, თუმცაკი თამაშის შემდეგ სამი წვეულება გაუმართეს — მატჩის შემდგომი ლუდის სმა და მუსაიფი, მოგეხსენებათ, რაგბის საყოველთაო წესია. მასპინძელთა ფედერაციის თავკაცი გოლდშმიტი პირად საქმეებზე სამხრეთ აფრიკას წაბრძანებულიყო, არც მდივანი ჟარ-ჟაკი ჩანდა, ასე რომ კავკასიელი სტუმრების მიხედვა ხაზინადარ კროსბისა და ნაკრების კაპიტანყოფილს უკისრიათ.

მასპინძლებმა რიგიანად ითამაშეს. მართალია, მათ შესატევად თითქმის არ ჰქონიათ ბურთი, ლელო კი მას შემდეგლა გაგვიტანეს, რაც ჩვენს მარცხენა გარემარბს დაუფარეს, მაგრამ დაცვაში თავდადებით გაისარჯნენ — ჩვენებს თადაუზოგავად ბოჭავდნენ და თამაში ფრედ რომ დამთავრდა, დიდადაც გაიხარეს.

ჩვენებს ყველა ლეგიონერმა ჩააკითხათ. პოლონეთში ნამყოფი სამეული — ჩავლეიშვილი, შავანგირაძე და ბაბუნაშვილი ნაკრებს შინაც გამოჰყვა, ჯაფარაშვილი ესპანეთს გაბრუნდა, გაფრანგებულ კახა გიუნაშვილს კი სტადიონისთვის დროულად ვერ მიუგნია.

სამაგიეროდ, ლუქსემბურგის საელჩომ დაალალატა ჩვენი დელეგაცია, როცა ორ გარემარბს — სპ. ლიპარტელიანსა და ქავთარაშვილს ვიზები არ მისცა. ისე კი, ჩივილ-წუწუნი იქით იყოს და ბევრად უკეთესი გუნდის გაყვანა რომ შეგვეძლო, ამას დიდი ფიცი-მტკიცი არ სჭირდება.

ამ შემადგენლობითაც უნდა დაგვემარცხებინა ლუქსემბურგი, მაგრამ ჩვენებისვე მიზეზით უკანა ხაზი შერკინებას მოწყვეტილი აღმოჩენილა, მერე კი მორკინალებს მათებურად დაუჟინიათ და ჯგუფური, ძალისმიერი ლელოს გატანის შემდეგ მთლად სწორხაზოვან მიძალებაზე გადასულან. თამაშის ბოლოს ჩვენებს მრავალგზის ნაცადი, მაგრამ ერთობ მიამიტური ხერხით — შერკინებაში ათკაციანი ბიძგით ლელოს ახლოდან გატანა ზედიზედ ბარემ ხუთჯერ უცდიათ, მაგრამ მათს განზრახვას წინ აღდგომია არა იმდენად ლონით არანაირად გამორჩეული ლუქსემბურგელთა შერკინება, არამედ შვეიცარელი მსაჯი, რომელიც უსუსურ მასპინძელთა მიერ შერკინების ჩაქცევაზე თვალს ხუჭავდა.

ასე ყოფილა თუ ისე, ფირა-ს ასპარეზზე ქართველთა დებიუტი თითქმის კატასტროფით დამთავრებულა. ახლა ჩვენებს 20 ნოემბერს შინ ლატვიასთან თამაში ელით.

ბალტიელები ლუქსემბურგს ბევრად სჯობიან.

საშინაო ამბები

# მორაგბეთა სიქველე

ამერის სარაგბო თემი ვაკის ბინაზე ყოველთვიურად მართავს საშაბათკვირაო ფესტივალებს, რომლებშიც 12-13 წლის ბავშვთა ათამდე გუნდი მონაწილეობს ხოლმე. ცოდვა გამხელილი სჯობს და ქართული რაგბის საყოველთაო დაღმავლობის ფონზე ეს ღონისძიება თუ გვიტოვებს იმის იმედს, რომ ოდესმე კიდევ განვძლიერდებით.

ფესტივლებზე ყოველთვის ალალი სარაგბო სულისკვეთება სუფევს, რასაც დიდებიცა და პატარებიც კარგად ხვდებიან. ამ კვირადღეს იგივეს იგრძნობდა 50 სოხუმელი ლტოლვილი ბავშვი, რომლებიც მორაგბეებმა ვაკეში მიიყვანეს, სანახაობას დაასწრეს და სამი მათგანი თამაშშიც კი ჩააბეს.

ფესტივალს გამარჯვებული არა ჰყავს ხოლმე. ამ შემთხვევაში გაიმარჯვა სიქველემ. ბანკმა „მერკურმა" (მიხეილ გარუჩავამ), ფირმებმა „ივერია-90"-მა (დათო ბიძინაშვილმა) და „გუმარმა" (ბიძინა გეგიძემ) დიდი ფონდი შეკრიბეს, რითაც მიუსაფარ ბავშვებს ორკერძა, ჩაროზიანი სადილიც მიართვეს და შემწეობად თითოს 50-50 ათასი კუპონი აჩუქეს. ეს თანხა ბავშვებს საქართველოს რაგბის კავშირის ემბლემიანი კონვერტებით გადაეცათ.

ამერის პირველობა

(შარ). 5.XI. ვაკე
ქორები 6 (0) აზოტი 58 (29)
„ქორები" — 2ს: №10 ძამიაშვილი.
„აზოტი" (რუსთავი) — 10 ლ: №14 მამუკა მინდორაშვილი (5), №12 პ. ჯიმშელაძე, №7 ზ. მოდებაძე, №10 ჩიქვინიძე, №13 ზ. ბერიშვილი, №11 მ. ურინი; 4გ: №15 ი. ლეჟავა (3), მინდორაშვილი
მსაჯი რამაზ ბერაძე („ლავრი")

ვაკეში დარჩენილი თამაშები:

(ოთხ), 10.XI, 14.00 ქორები—ამირანი
(ხუთ) 11.XI, 13.00 შევარდენი—ყოჩები
14.30 ვესტა—თბილისი
(კვი) 14.XI 14.00 თბილისი — ამირანი
(ორ) 15.XI 14.00 ვესტა—შევარდენი
(ხუთ) 18.XI 14.00 ამირანი — შევარდენი
მერე აზოტი უმასპინძლებს ვესტას

| I ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | — | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| აზოტი (რ) | 11 | 9 | 0 | 2 | 0 | 275-131 | 18 |
| შევარდენი | 9 | 8 | 0 | 1 | 0 | 215-146 | 16 |
| ვესტა | 9 | 7 | 0 | 2 | 1 | 258-105 | 13 |
| ამირანი | 9 | 5 | 0 | 4 | 0 | 115- 87 | 10 |
| თბილისი | 10 | 2 | 1 | 7 | 0 | 181-243 | 5 |
| ყოჩები | 11 | 2 | 1 | 8 | 2 | 145-268 | 3 |
| ქორები | 11 | 1 | 0 | 10 | 0 | 112-331 | 2 |
| II ჯგუფი | | | | | | | |
| ლავრი | 12 | 10 | 0 | 1 | 0 | 245-101 | 22 |
| ლელო | 12 | 10 | 0 | 2 | 0 | 626-161 | 20 |
| რაში | 12 | 9 | 0 | 3 | 0 | 267-123 | 18 |
| ხაშური | 12 | 5 | 0 | 7 | 2 | 105-207 | 8 |
| უნივერსიტ. | 12 | 4 | 0 | 8 | 1 | 156-328 | 7 |
| აკადემია | 12 | 3 | 0 | 9 | 4 | 105-241 | 2 |
| მარაო | 12 | 0 | 0 | 12 | 5 | 27-410 | -5 |

მეხუთე გრაფაში სხვადასხვა მიზეზით დაქვითული ქულები წერია

# ადიო, ალენ!

კვირას დასრულდა წლის ყველაზე მარათონული შეჯიბრება — ფორმულა-1 ავტორბოლაში მსოფლიოს 44-ე ჩემპიონატი. უსწრაფესი პილოტების დავა პირველობისათვის მთელი რვა თვე გრძელდება და ტრადიციულად, ავსტრალიის „დიდი პრიზის" გათამაშებით მთავრდება.

საინტერესოა, რომ ამ ხნის განმავლობაში, 30 მძღოლს, ვისაც უმაღლესი კლასის ბოლიდების პილოტირების ძნელად მისაღები ლიცენზია აქვს, 16 ეტაპზე სულ 5 000 კმ-ის გავლა უწევს. უშუალოდ რბოლისა და მანამდე ორდღიანი კვალიფიკაციის ჩათვლით, ისინი რვა თვეში სულ რაღაც 48 დღეს, ანუ მხოლოდ თვენახევარს მუშაობენ სრული დატვირთვით. დროის მნიშვნელოვან ნაწილს ახალი ძრავების, ანდა სხვა კონსტრუქციული სიახლეების გამოცდას ახმარენ და გვარიანადაც იღლებიან. თუმცა ცოტაოდენი დრო მაინც რჩებათ სულის მოსათქმელად და ოჯახების მისახედად.



აირტონ სენა
ბრაზილია

დაიბადა 1960 წლის 21 მარტს სან-პაულუში

სიმაღლე 175 სმ, წონა 73 კგ.

ცხოვრობს სან-პაულუსა და მონტე-კარლოში.

ფორმულა-1-ში სენას დებიუტი შედგა 1984 წელს „ტოლმენის" გუნდში". 1988 წლიდან იცავდა „მაკლარენის" ღირსებას, სადაც სამჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, ორჯერ კი მეორე ადგილზე გავიდა.

ბრაზილიელი პილოტის ჰობი ყოველდღიურ ცხოვრებაშიც სიჩქარეა. უყვარს საკუთარი რეაქტიული თვითმფრინავის შტურვალთან ჯდომა და წყლის თხილამურებზე გიჟმაჟი სრიალი. მისივე თქმით, ფორმულის პილოტი რომ არ ყოფილიყო, მფრინავი-ავიაგამანადგურებელი გახდებოდა. ფორმულაში მისი კერპები არიან მსოფლიოს სამგზის ჩემპიონები ჯეკი სტიუარტი და ნიკი ლაუდა.

სადღეისოდ 158 რბოლიდან სენას მოგებული აქვს 41 და დაგროვილი აქვს 614 ქულა.

წლევანდელი, უკანასკნელი სამი ასეული კილომეტრიც პილოტებმა სამხრეთ ავსტრალიის შტატის უდიდესი ქალაქის ადელაიდან ქუჩებში გაიარეს. სწორედ ბოლო ეტაპს უნდა გაეცა პასუხი კითხვაზე, თუ ვინ დაიკავებდა მიმდინარე სეზონში საერთო მეორე ადგილს ფრანგი „პროფესორის" ალენ პროსტის შემდეგ, რომლის „უილიამსმაც" უკვე კარგა ხანია გაინაღდა პირველობა. მეორე ადგილზე თვალი ეჭირათ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს აირტონ სენას და პროსტის თანაგუნდელ დეიმონ ჰილს, რომელიც ორი ქულით უსწრებდა ბრაზილიელ „ჯადოქარს".



საბედნიეროდ, რბოლას ამჯერად ჩინებული, მზიანი ამინდი დაერთო და კოპწია კოტეჯებით გარშემორტყმულ ტრასაზე ბრძოლა საინტერესოდ წარიმართა. ერთი კია, მონტე-კარლოსი არ იყოს, ადელაიდის ქუჩებიც ვიწრო და მიხვეულ-მოხვეულია, რის გამოც იქ თითქმის შეუძლებელია გასწრება. არც მაქსიმალური სიჩქარეა მაინცდამაინც მაღალი — მხოლოდ 280 კმ-სთ, რბოლის საშუალო სიჩქარე კი ძლივს სცილდება 170-ს. ყველაფერ ამის გამო, უდიდესი მნიშვნელობა აქვს, გადამწყვეტი თუ არა, პირველ სასტარტო პოზიციას. წლეულს პროსტის ტრადიციული ეს ადგილი ამჯერად სენას ეკავა. იგი სტარტიდანვე სათავეში მოექცა 25-კაციან ქარავანს და მთელი რბოლის მანძილზე არავის მისცა „სათოფედ" მიკარების საშუალება. საერთოდ, მოწინავე ფრანგი ლიდერს ერთთავად 20-30 წამით ჩამორჩებოდა. ამასთან, ერთხელაც არ უცდია ბრძოლაში გარდატეხის შეტანა და გასწრება. მთელი რბოლა მესამე პოზიციაზე ჰილი მიდიოდა, რაც ბუნებრივია, მას ხელს არ აძლევდა. ფინიშთან ახლოს ბრიტანელმა ერთ-ერთ მოსახვევში პროსტის გასწრება მოიწადინა, რათა შემდეგ ლიდერის „მაკლარენზე" მიეტანა იერიში, მაგრამ ზუსტად ვერ გათვალა მანევრი და კინაღამ დაამტვრია თავისი „უილიამსი". ამის შემდეგ ჰილმა უფრო ფრთხილად გააგრძელა ბრძოლა და სამეულმაც ამავე თანმიმდევრობით დაიკავა ადგილები პოდიუმზე.

დაჯილდოებისას სენა მეტად გახარებული ჩანდა — ბოლო ორი რბოლის მოგებით მან ხომ საწადელს მიაღწია და საერთო ჩათვლაში აჯობა გაცილებით ძლიერი მანქანით მოასპარეზე ინგლისელს. თავის მხრივ, ჰილის მესამე ადგილი დებიუტანტის კვალობაზე ჩინებული შედეგია. პროსტი კი ოდნავ ნაღვლიანად გამოიყურებოდა: ცხადია, ძნელია შეელიო საყვარელ საქმეს, რომელსაც ორი ათეული წელი შესწირე. ადელაიდის რბოლა „პროფესორის" ბრწყინვალე კარიერაში უკანასკნელი იყო — 38 წლის ფრანგი მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონის რანგში გამოეთხოვა ფორმულას.

ავსტრალიის „გრან-პრი" სენასთვისაც ბოლო იყო, ოღონდ „მაკლარენის" შემადგენლობაში, სადაც „ჯადოქარი" ზედიზედ ექვსი წელი გამოდიოდა და სამჯერ მოიპოვა ჩემპიონის ტიტული. მომავალ სეზონში იგი ფრენკ უილიამსის გუნდში სწორედ პროსტის ადგილს დაიკავებს.

როგორც იქნა, ივარგა „ფერარის" ფრანგულ-ავსტრიულმა დუეტმა. ამჯერად, ჟან ალეზიმაც და გერჰარდ ბერგერმაც მთელი გზა ოსტატურად და უკონფლიქტოდ გაიარეს და პირველად აღმოჩნდნენ ერთად ექვსეულში.

აღსანიშნავია, რომ ისეთი დიდი უპირატესობა, როგორიც წელს ჰქონდა ჩემპიონს მეორე პრიზიორთან, უკანასკნელი ათი წლის მანძილზე მხოლოდ ერთხელ აღინიშნა. ამასთან, პროსტის მიერ წელს დაგროვილი ქულების რაოდენობა მესამე შედეგია ფორმულის 44-წლიან ისტორიაში. უკეთეს მაჩვენებელს მიაღწიეს შარშან ნაიჯელ მენსელმა — 108 ქულა და 1988-ში თავად „პროფესორმა" — 105.

გია ახალაძე

ავსტრალიის „გრან-პრის" შედეგები. ტრასა გადის ქალაქ ადელაიდის ქუჩებში. 81 წრე, საერთო სიგრძე 306,180 კმ. საუკეთესო შედეგი წრეზე (3780 მ) აჩვენა დეიმონ ჰილმა — 178,87 კმ-სთ.

1. აირტონ სენა (ბრაზილია, „მაკლარენი") — 1:43.27,451; 2. ალენ პროსტი (საფრანგეთი, „უილიამსი"); 3. დეიმონ ჰილი (დიდი ბრიტანეთი, „უილიამსი"); 4. ჟან ალეზი (საფრანგეთი, „ფერარი"); 5. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „ფერარი"); 6. მარტინ ბრანდლი (დიდი ბრიტანეთი, „ლიჟიე").

საერთო ჩათვლა. კონსტრუქტორები: 1. „უილიამსი" — 168; 2. „მაკლარენი" — 84; 3. „ბენეტონი" — 72; 4. „ფერარი" — 28; 5. „ლიჟიე" — 23; 6-7. „ლოტუსი" და „ზაუბერი" — 12; 8. „მინარდი" — 7; 9. „ფუტუორკი" — 4; 10-11. „ლარუსი" და „ჯორდანი" — 3.



| | | სამხ. აფრიკა | ბრაზილია | ევროპა | სან მარინო | ესპანეთი | მონაკო | კანადა | საფრანგეთი | დ. ბრიტანეთი | გერმანია | უნგრეთი | ბელგია | იტალია | პორტუგალია | იაპონია | ავსტრალია | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ალენ პროსტი „უილიამსი" საფრანგეთი | 10 | | 4 | 10 | 10 | 3 | 10 | 10 | 10 | 10 | | 4 | | 6 | 6 | 6 | 99 |
| 2 | აირტონ სენა „მაკლარენი" ბრაზილია | 6 | 10 | 10 | | 6 | 10 | | 3 | 2 | 3 | | 3 | | | 10 | 10 | 73 |
| 3 | დეიმონ ჰილი „უილიამსი" დიდი ბრიტანეთი | | 6 | 6 | | | 6 | 4 | 6 | | | 10 | 10 | 10 | 4 | 3 | 4 | 69 |
| 4 | მიხაელ შუმახერი „ბენეტონი" გერმანია | | 4 | | 6 | 4 | | 6 | 4 | 6 | 6 | | 6 | | 10 | | | 52 |
| 5 | რიკარდო პატრეზე „ბენეტონი" იტალია | | | 2 | | 3 | | | | 4 | 2 | 6 | 1 | 2 | | | | 20 |
| 6 | ჟან ალეზი „ფერარი" საფრანგეთი | | | | | | 4 | | | | | | | 6 | 3 | | 3 | 16 |
| 7 | მარტინ ბრანდლი „ლიჟიე" დიდი ბრიტანეთი | | | | 4 | | 1 | 2 | 2 | | | 2 | | | 1 | | 1 | 13 |
| 8 | გერჰარდ ბერგერი „ფერარი" ავსტრია | 1 | | | | 1 | | 3 | | | 1 | 4 | | | | | 2 | 12 |
| 9 | ჯონი ჰერბერტი „ლოტუსი" დიდი ბრიტანეთი | | 3 | 3 | | | | | | 3 | | | 2 | | | | | 11 |
| 10 | მარკ ბლანდელი „ლიჟიე" დიდი ბრიტანეთი | 4 | 2 | | | | | | | | 4 | | | | | | | 10 |

11-12. მაიკლ ანდრეტი (აშშ, „მაკლარენი") და კარლ ვენდლინგერი (ავსტრია, „ზაუბერი") — 7; 13-14. იურკი იარვი ლეჰტო (ფინეთი, „ზაუბერი") და კრისტიან ფიტიპალდი (ბრაზილია, „მინარდი") — 5; 15-16. დერეკ უორვიკი (დიდი ბრიტანეთი, „ფუტუორკი" და მიკა ჰაკინენი (ფინეთი, „მაკლარენი") — 4; 17-19. ფაბრიციო ბარბაცა (იტალია, „მინარდი"), ფილიპ ალიო (საფრანგეთი, „ლარუსი") და რუბენს ბარიჩელო (ბრაზილია, „ჯორდანი") — 2; 20-22. ალესანდრო ზანარდი (იტალია, „ლოტუსი"), ერიკ კომა (საფრანგეთი, „ლარუსი") და ედი ერვინი (ირლანდია, „ჯორდანი") — 1.



# ჰოლიფილდი — ბოუ:

**ამ შაბათამდე მუჰამედ ალის შემდეგ ვერავის დაებრუნებინა პროფესიონალ მოკრივეთა მსოფლიო ჩემპიონობა მძიმე წონაში. ახლა ეს შეძლო 31 წლის ევანდერ ჰოლიფილდმა, რომელმაც ნევადის შტატის ცნობილ სამორინო ქალაქ ლას-ვეგასში, სასტუმრო „სიზორ პალასში" 12-რაუნდიანი ბრძოლა ქულებით მოუგო 26 წლის რიდიკ ბოუს, რომელიც აქამდე კრივის მსოფლიო ასოციაციისა (WBA) და კრივის საერთაშორისო ფედერაციის (IBF) ვერსიებით მსოფლიოს უძლიერეს მძიმეწონოსნად მიიჩნეოდა.**



## საპარაშუტო დრამა ლას-ვეგასში

ბოუმ ტიტული თავის დროზე, ერთი წლის წინ, იქვე, ლას-ვეგასში მოიპოვა ჰოლიფილდის გალახვით, ასე რომ შაბათის ორთაბრძოლა ფაქტიურად მატჩ-რევანში იყო. ტიტულის დაუნჯების შემდეგ ბოუ ვერ მოარიგეს ბრიტანელ ლენოქს ლუისთან შესახვედრად. ჰოდა, ამერიკელმა პრეს-კონფერენცია მოაწყო და კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) საჩემპიონო სარტყელი საჯაროდ მოისროლა სანაგვეში და ზედაც დააწიტა. ამის შემდეგ საბჭომ ტიტული ლუისს უბოძა.

მერე ბევრს ლაპარაკობდნენ სავაისოდ ბოუ-ლუისის შერკინების მოწყობაზე, მაგრამ ახლა, როგორც ვხედავთ, საქმეში ჰოლიფილდი ჩაერია და გაისად ვერსიათა შემაჯერებელი ჩხუბი თუ გაიმართა, ლუისს ალბათ ჰოლიფილდი შეებმება — თუკი, რა თქმა უნდა, მანამდე ლუისმაც არ დაკარგა ტიტული.

მაგრამ, მოდით, ლას-ვეგასის ორთაბრძოლას მივუბრუნდეთ. ბოუს ერთობ დიდი უპირატესობა ჰქონდა წონაში. ჩემპიონი ასაწონად ოდენ ნიფხავში გავიდა, მაგრამ სასწორმაც 17 სტოუნი და 8 გირვანქა აღნუსხა (სტოუნი 6,350 კილოგრამია, გირვანქა — 450 გრამი, ერთ სტოუნში კი 14 გირვანქაა), რაც შარშანდელზე 11 გირვანქით მეტი იყო. ჰოლიფილდი, პირიქით, საწვრთნელ კოსტიუმსა და სარბენ ფეხსაცმელებში წარსდგა საზოგადოების წინაშე და 15 სტოუნ-ნახევარზე მეტი ვერ აიწონა, თუმცა შარშანდელთან შედარებით 12 გირვანქა მაინც მოემატა.

შეხვედრას წინ უძღოდა მოშულარ ბანაკთა ტრადიციული პრეს-კონფერენციები, ქადილი და მეტოქეთა სიტყვიერი შემკობა. ჰოლიფილდის მენეჯერი ემანუელ სტიუარტი ირწმუნებოდა, რომ მის გაზრდილს შარშანდელმა მარცხმა ჭკუა ასწავლა და ახლა სხვანაირად იბრძოლებსო. რაც შეეხება ბოუს, მას მოძღვრავდა 82 წლის ედი ფაჩი, რომელსაც თავის დროზე ოთხი მსოფლიო ჩემპიონი — ჯო ფრეზიერი, კენ ნორტონი, ლარი ჰოუმსი და მაიქლ სფინქსი უვარჯიშებია. თავად ბოუ იქადნებოდა, ჰოლიფილდი შარშანდელი ტყების შემდეგ საკადრის პატივს მაინც არ მცემს, ამიტომ კიდევ გავლახავო!

შერკინება „სიზორ პალასის" მანქანათა სადგომზე დადგმულ რინგზე გაიმართა. შეიკრიბა 15 ათასი მოსეირე. უმეტესობა ჰოლიფილდის მომხრე იყო. ბრძოლა ჩვენი დროით კვირას, დილის 7 საათზე დაიწყო. ამ დროს ლას-ვეგასში საღამოს 9 საათი იყო.

უფრო მსუბუქი ჰოლიფილდი უკეთ მოძრაობდა და უფრო ზუსტად ურტყამდა, მაგრამ სად იყო და სად არა, გაგანია მატჩში, მეშვიდე რაუნდის დროს, რინგის შემომსაზღვრელ ბაგირთან ციდან პარაშუტისტი დაეშვა, რასაც ჩოჩქოლი და ხალხის დაშავება მოჰყვა.

შერკინება 20 წუთით შეფერხდა, რამაც მსაჯებს დავთრები მთლად აურია, მაგრამ ჰოლიფილდი მეტოქეს იმდენად სჯობდა, რომ ბოუს ჩემპიონობის შესანარჩუნებლად ბოლო, მეთორმეტე რაუნდში მხოლოდ ნოკაუტი აძლევდა ხელს.

ატყდა საშინელი მუშტი-კრივი, რომელიც გონგმა ძლივს შეაჩერა. ერთმა მსაჯმა ჰოლიფილდს გაამარჯვებინა ორი რაუნდით, მეორემ — ერთით, ხოლო მესამემ ფრე გამოაცხადა. ამის გამგონე ფაჩს გული შეუწუხდა და საკაცით საავადმყოფოში გააქანეს, საიდანაც ამბავი მოვიდა, რომ ყოჩაღადაა და არა უჭირს რაო.

რაც შეეხება პარაშუტისტს, მის განზრახვას არკვევენ, ხოლო მოგებულმაც და წაგებულმაც სულ ცოტა ათ-ათი მილიონი დოლარი მიითვალეს.

ვალერი ჯიქია

## ამერიკა უტევს

აშშ თავის სპორტს მთელს მსოფლიოს თავს ახვევს. თითქოს შაიბიანი ჰოკეის ან ამერიკული ბურთაობის დესანტის გადასხმა არ კმაროდა, ათი დღის წინ კალათბურთის ეროვნულმა ასოციაციამაც (**NBA**) მიავლინა წარმომადგენლები დიდ ბრიტანეთს. ლონდონში, „უემბლის" სტადიონის დარბაზში, უქმეებზე ორი საჩვენებელი თამაში გამართეს ორლანდოსა და ატლანტის გუნდებმა. შაბათს ორლანდომ გაიმარჯვა 7-ფუტიანი (ფუტი 30,5 სანტიმეტრია) შაკილ ონილის გამოისობით 120:95, კვირას კი ატლანტამ მეტოქეს სამაგიერო გადაუხადა 113:101. ამრიგად, მეტოქეებიც კმაყოფილნი დარჩენ და მაყურებლებიც.



## ბლანკოს რეკორდი გაუმჯობესდა

შაბათს, „პარკ დე პრენსზე", საფრანგეთი — ავსტრალიის განმეორებითს ტესტში საზოგადოებამ ერთბაშად სამი მსოფლიო რეკორდსმენი იხილა: ტესტებში გატანილი ლელოებით (57) — „ვოლაბითა" გარემარბი დევიდ კემპიზი, ტესტებში მოგროვილი ქულებით (783) — სტუმართა კაპიტანი მაიკლ ლაინაფი და ნათამაშევ ტესტთა რაოდენობით (94) — ფრანგთა 31 წლის შუამარბი ფილიპ სელა, ვისაც ნაკრებში პირველად 1982 წელს, რუმინეთის წინააღმდეგ უთამაშია.

სელამ ავსტრალიასთან თამაშით ასევე ფრანგის, მცველ სერჟ ბლანკოს მიღწევა ერთით გააუმჯობესა. ეს შემთხვევითი როდია, რაკილა ამდენი კეპის მოგროვებაში ფრანგებს ხელს უწყობს ის ფაქტორი, რომ მათი ნაკრები მსოფლიო რაგბის სხვა გრანდებზე მეტს თამაშობს, მეტადრე — რუმინეთისა და არგენტინის გუნდებთან.

რეკორდის აღსანიშნავად სელა პირველი და მარტო გაიჭრა გვირაბიდან მოედანზე, მაგრამ „ვოლაბებმა" ზეიმი ჩაუშხარეს. ავსტრალიელებს აქამდე ვერასოდეს გაემარჯვნათ პარიზში. ბორდოში პირველი ტესტის წაგების შემდეგ მსოფლიო ჩემპიონებმა გასაიდუმლოებულად ივარჯიშეს, მცველი ბერკი გარემარბად გადაიყვანეს მერდოკის ნაცვლად, მცველად კი, წელს უკვე მეორედ, მარტი რობაქი დაიბრუნეს,, მაგრამ თამაშამდე ორი დღით ადრე ბერკმა მუხლი იტკინა და მისი ადგილი სმითს ერგო.

გადახალისებამ სტუმრებს არგო. ფრანგები შიშობდნენ, რომ თუ ვინცობაა დერეფანში თამაშს წააგებდნენ, მატჩშიც დამარცხებოდნენ. ასეც მოხდა. „ვოლაბები" შთაგონებით თამაშობდნენ და რობაქმა საწყის 10 წუთში ორი საჯარიმო შეაგდო, მერე კარსუკან ლელო გაიტანა, რომელიც თავად გარდასახა. ფრანგმა ლაკრუამ ზედ შესვენების წინ საჯარიმო შეაგდო 3:13.

მეორე ნახევარში ფრანგებმა შეტევა სცადეს, მაგრამ ქულები ისევ სტუმრებმა მიითვალეს. რობაქმა ორი საჯარიმოც შეაგდო, ლაინაფის აბრაგანი კი ზედ კარის წინ ვერ დაიჭირა ფრანგთა მცველმა სადურნიმ, რის შემდეგაც 8 ნომერმა გევინმა, წინა ტესტის მსგავსად, კვლავ გაიტანა ლელო. „ვოლაბებმა" 24:3 მოიგეს და ტესტ-სერია გააყაიმეს 1-1.

ამავე დღეს კიდევ ორი ტესტი გაიმართა. ბუენოს-აირესში სამხრეთმა აფრიკამ დერეფნის ერთადერთი სპეციალისტი — ჰანეს სტრაიდომი გამოუყვანა არგენტინას, მაგრამ მაინც მოუგო 29:26. „ქურციკებმა" შესვენებამდე ოთხი ლელო გაიტანეს და 19 ქულითაც დაწინაურდნენ, მაგრამ მეორე ნახევარში „პუმები" ლამის წამოეწივნენ მეტოქეს.

ბოლო, მესამე ტესტი გამართეს ბრიტანელმა და ახალზელანდიელმა პროფესიონალებმაც. „კივიმ" ისევ წააგო 10:29 და პირველად 1970 წლის შემდეგ სერიაში 0-3 დამარცხდა. ამან სტუმართა მშრალზე დამტოვებელი „ლომები", ცოტა არ იყოს, გაადიდგულა და ისინიც ახლა 1994 წლის ოქტომბერს ელიან, როცა ბრიტანეთს ლიგის რაგბის მსოფლიო ჩემპიონები — ავსტრალიელი „კენგურუები" უნდა ეწვიონ.



ფილიპ სელა

## აქეთური, იქითური

გამოცხადდა, რომ „[illegible] სერია", ანუ ინგლის-ავსტრალიის საკრიკეტო შეჯიბრება **1994-95** წლების შესაყარზე ავსტრალიაში გაიმართება იქ ინგლისელთა სტუმრობის დროს. ტურნეს პროგრამაში ხუთი ტესტია. ისინი ბრისბენში, მელბურნში, სიდნეიში, ადელაიდასა და პერთში მოეწყობა. მელბურნის ტესტი ქრისტეშობას დაიწყება, სიდნეისა — ახალ წელს, ადელაიდისა კი — ეროვნულ დღესასწაულს — ავსტრალიის დღეს, ანუ **26** იანვარს.

*

შაბათს, ლოს-ანჯელესის გარეუბან სანტა-ანიტაში დაიწყო ცხენთგამოცდის სეზონი, რომელშიც **82** ცხენ-მხედარი ჩაება. მათგან **19** ევროპიდანაა. მოხდა პირველი სენსაციაც: ერთ-ერთი დოღი მოიგო ფრანგმა მონაწილემ, რომლის შანსებსაც ბუკმეიკერები **133:1** აფასებდნენ. გამარჯვებულმა ხელს ჯილდოდ **3** მილიონი დოლარი გააყოლა.

*

ახალი ზელანდიის რაგბის მამებმა, როგორც იქნა, გადაწყვიტეს ჩრდილოეთ ტრანსვაალის კვაჰის ანდრეას ტრუსკოტის საკითხი. „ზე-ათის სერიის" მატჩის დროს დოპინგის გამოყენებაში მხილებისათვის ახალზელანდიელებმა სამხრეთაფრიკელს თავიდან დაუდგინეს დისკვალიფიკაცია, რომელიც **1995** წლის **29** ივლისს მთავრდებოდა, მაგრამ დასჯილმა იჩივლა და იმას მიაღწია, რომ დისკვალიფიკაცია დარღვევიდან ზუსტად ორი წლის თავზე, **1995** წლის **7** მაისს დამთავრდეს. ამ შეღავათის წყალობით ტრუსკოტს შანსი ეძლევა ითამაშოს მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც სამხრეთ აფრიკაში **1995** წლის **25** მაისს გაიხსნება.

*

ხუთშაბათიდან კვირამდე ჰავაის არქიპელაგის კუნძულ მაუიზე, ქალაქ კაპალუაში მიმდინარეობდა პროფესიონალ მეგოლფეთა ასოციაციის მორიგი შეჯიბრება, რომლის დროსაც გამოჩენილ ამერიკელ მოთამაშეს ჯონ დეილის ხელი მოეცარა. მეორე წრეში ზორბა ამერიკელს „ორმაგი მაჭლაჯუნა" შეემთხვა მე-7, მე-8 და მე-**10** ორმოების იერიშისას. ჰოდა გაბრაზებულმა მე-**11** ორმოზე თამაშისას ყვანჯები განზე მიაგდო და შეჯიბრებას გამოაკლდა, რისთვისაც ჯერაც განუსაზღვრელი ვადით დისკვალიფიკაცია დაიმსახურა.

*

ჰოლანდიელი ჩოგბურთელი რიხარდ კრაიჩეკი ავადმყოფობის გამო გამოაკლდა ევროპის თანამეგობრობის ჩემპიონატს, რომელიც ამ კვირაში ბრიუსელში იმართება. შეჯიბრების საპრიზო ფონდი **1 100 000** დოლარია, კრაიჩეკი კი ტურნირის შარშანდელი გამარჯვებულია.

*

ჩინელმა სტაიერმა ქალებმა, რომლებმაც შტუტგარტის მსოფლიო პირველობა[illegible] 1[illegible]0, 3000 და 10 000 მეტრზე სირბილ[illegible] მოიგეს და მერე შინ მსოფლიო რეკორდებიც დაამყარეს, წინა კვირას გაიმარჯვეს სან-სებასტიანში გამართულ მარათონის მსოფლიო თასზეც. მათ ამჯერადაც შეხმატკბ[illegible]ეობულად ირბინეს და პირველი ოთხ[illegible] ადგილი დაიკავეს იმისდა მიუხედავად, რომ თურმე ცხოვრებაში მხოლოდ მეორედ (!) შესდგომოდნენ მარათონის ტრასას. ვაჟთა შორის გაიმარჯვა ბრიტანელმა რიჩარდ ნარუკამ, რომელსაც ასევე მეორედ უასპარეზია მარათონში. იგი ამ შეჯიბრებისთვის თურმე საგანგებოდ მომზადებულა პირენეებში. რაც შეეხებათ ჩინელ ქალებს, შინ ისინი თურმე კვლავაც ხელმოკლედ ყოფილან, ვინაიდან ზემკაცრი საბაჟო წესების გამო ჩინეთში ჯერაც ვერ ჩაუყვანიათ ახალთახალი „მერსედესები", მსოფლიო ჩემპიონობისთვის რომ დაიმსახურეს.

აქეთური, იქითური

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით და პარასკეობით
ინდექსი 66441
რაიონებისთვის გაზეთის ფასი სახელშეკრულებოა

რედაქციის მისამართი:
თბილისი 77, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში; ხოშარაულის 29

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა
„მარდი"

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია

სარედაქციო კოლეგია: გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეძველია, მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)